# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2008 წელი.

№ 8 (5866)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## რეფორმა საზოგადოებრივ მაუწყებელში — ოპოზიციასთან შეთანხმებით?

5

## ტელევიზია ხალხის ხელშია

„საზოგადოებრივი ტელევიზია ხალხის ხელშია. ჩვენ გვექნება სიმართლის თქმის საშუალება“, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმდინარე აქციაზე.

„ჩვენ ძალიან ბევრი გამარჯვება გველოდება და ყველა ამ გამარჯვებას მოგილოცავთ“, — განაცხადა მან.

გოგა ხაინდრავამ კი აღნიშნა: „გათავისუფლებული ტელევიზია, პარლამენტის საგაზაფხულო არჩევნები, ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლება პატარ-პატარა გამარჯვებებია“.

აქციაზე ისმოდა შეძახილები — „საქართველო სიყალბის და სააკაშვილის გარეშე“.



## სააკაშვილი იმის მესამედს რომ შეჰპირებოდა, რასაც ახლა ჰპირდება...

10





## ცხინვალსა და სოხუმში სააკაშვილის ხელისუფლებას ნაკლებად ენდობიან

7

## განა მარტო კმისრის ცოლი უნდა იდგეს ჭორებზე მაღლა!

3-7

ანუ რომელმა გუნდმა შეიძლება გაიმეოროს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის ერთი ტაეპი – „მე იგივე ვარ მარად და მარად“

არჩილ გეგეშიძე:

## თუ ხელისუფლება საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოზე კონტროლს დათმობს, შეიძლება ეს საკმარისი აღმოჩნდეს, რათა ოპოზიცია არჩევნების შედეგს შეურიგდეს

2

## ნატოს მსურველთა რაოდენობა შემაშფოთებლად შემცირდა

6



● გააჩნია რა ფორმებს მიიღებს ოპოზიციის საპროტესტო ტალღა და რა ინტენსივობით გაიმართება აქციები. უკვე ცნობილია ოპოზიციის მოთხოვნები და არ გამოვრიცხავ, რომ ეს მოთხოვნები, გარდა მეოთხე პუნქტისა, რომელიც მეორე ტურის დანიშვნას ითვალისწინებს, დაკმაყოფილდება





ინფორმაცია

## ქოპორტში ვაშინგტონის გავლით

**5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, შესაძლოა, ვაშინგტონში ვიზიტით გაემგზავროს.**

ამ ინფორმაციას სააგენტო „ფრანსპრესი“ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველზე ნაციონალური უშიშროების საკითხებში სტივენ ჰედლიზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც ჯორჯ ბუშის მრჩეველმა ჟურნალისტებს განუცხადა, ვიზიტი, სავარაუდოდ, ინაუგურაციის შემდეგ შედგება. ბუში სააკაშვილს ტელეფონით ესაუბრა და მას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. სატელეფონო საუბარი ორშაბათს შედგა.

## გასაიდუმლოებული მოლაპარაკების რვა საკითხი

**პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლება ოპოზიასთან მოლაპარაკებებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რვა საკითხზე აწარმოებს.**

ბურჯანაძემ ეს საკითხები არ დააკონკრეტა, მაგრამ აღნიშნა, რომ ორივე მხრიდან არსებობს ამ საკითხებზე პოზიციების მიახლოვების პოლიტიკური ნება.

— საზოგადოებას მინდა ვაცნობო, რომ ჩვენ მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ ოპოზიციის და ხელისუფლების უფლებამოსილ პირებთან, — აღნიშნა ბურჯანაძემ.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელის თქმით, ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებათა გზით.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საპარლამენტო არჩევნები კონსენსუსის რეჟიმში უნდა ჩატარდეს.

ბურჯანაძის თქმით, სწორედ რვიდან ერთ საკითხზეა შეთანხმება მიღწეული. კერძოდ, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტება ოპოზიციას და ხელისუფლებას შორის პარიტეტის საფუძველზე მოხდება.

ოპოზიციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, დაინიშნოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, ბურჯანაძემ განაცხადა, რომ არჩევნების შედეგი აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციათა და მრავალი ქვეყნის მიერ.

## ბუშმა მიულოცა



**აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ქართველ კოლეგას მიხეილ სააკაშვილს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის პირველმა პირმა, რომელიც ამ დროისთვის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს, სააკაშვილს მას შემდეგ დაურეკა, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების საბოლოო შედეგები დაამტკიცა.

მილოცვას სახელმწიფო დეპარტამენტიც უერთდება.

— ვულოცავთ ქართველ ხალხს ქვეყნის ისტორიაში ყველაზე კონკურენტული არჩევნების ჩატარებას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი პრობლემების მიუხედავად, არჩევნები დემოკრატიულ ძირითად სტანდარტებთან შესაბამისი იყო, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

იქვე აღნიშნულია, რომ დეპარტამენტმა საერთაშორისო დამკვირვებლებთან ერთად შეისწავლა გამოვლენილი პრობლემები და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს მოსაზრება.

— საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიამ პასუხი გასცა ყველა შეკითხვას, რომლებიც ჩვენმა დამკვირვებელთა ჯგუფმა დასვა. საქართველოს ხელისუფლებას კი მოვუწოდებთ, არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ ყველა საჩივარს ღია და ოპერატიული პასუხი გასცეს, — ნათქვამია განცხადებაში.

სახელმწიფო დეპარატამენტი მზადაა ყველა ქართულ პარტიასთან ითანამშრომლოს და საპარლამენტო არჩევნებამდე აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმაროს.

## ვარდან ოსკანიანის ვარდები

**საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიაში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარდან ოსკანიანი მიიღებს მონაწილეობას.**

როგორც სააგენტო „რეგნუმი“ იუწყება, სომხეთის დელეგაციას სწორედ ოსკანიანი უხელმძღვანელებს.

ცერემონიაზე მოწვეულნი არიან უკრაინისა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრები, ბალტიისპირეთის ქვეყნების, პოლონეთისა და თურქმენეთის პრეზიდენტები.

საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია 20 ან 21 იანვრისთვის არის დანიშნული.

**ინტერპრესნიუსი**

თვალსაზრისი

# არჩილ გეგეშიძე: თუ ხელისუფლება საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოზე კონტროლს დათმობს, შეიძლება ეს საკმარისი აღმოჩნდეს, რათა ოპოზიცია არჩევნების შედეგს შეურიგდეს

**ცესკოს მიერ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ „ინტერპრესნიუსი“ ხელისუფლებისა და ოპოზიციის გეგმებზე და მოვლენათა განვითარების სავარაუდო პერსპექტივებზე საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევითი ცენტრის ექსპერტს არჩილ გეგეშიძეს ესაუბრა.**

**— ოპოზიციის აქციის შემდეგ ცესკოს თავმჯდომარემ ლევან თარხნიშვილმა, რომლის წინააღმდეგ ოპოზიცია სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვდა, გააკეთა განცხადება არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ. ცხადია, ხელისუფლება არც არჩევნების მეორე ტურის ჩატარებას და არც ხმების ხელახალ გადათვლას არ აპირებს. ოპოზიციის განცხადებები იმას მოწმობს, რომ ოპოზიცია საპროტესტო აქციებს გააგრძელებს. როგორ შეაფასებდით შექმნილ ვითარებას?**

— გააჩნია რა ფორმებს მიიღებს ოპოზიციის საპროტესტო ტალღა და რა ინტენსივობით გაიმართება აქციები. უკვე ცნობილია ოპოზიციის მოთხოვნები და არ გამოვრიცხავ, რომ ეს მოთხოვნები, გარდა მეოთხე პუნქტისა, რომელიც მეორე ტურის დანიშვნას ითვალისწინებს, დაკმაყოფილდება. არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებასთან რაღაც შეთანხმებული ფორმით მიიღოს არჩევნების შედეგი და საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადოს. თუ ოპოზიციამ გარანტიები მიიღო ახალი საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებაზე, სასამართლოს ობიექტურობაზე, მაშინ შეიძლება ოპოზიციამ ეს ჩათვალოს საკმარისად იმისათვის, რომ თვალი დახუჭოს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე და მომავალი საპარლამენტო არჩევნები უკეთესი შედეგით დაასრულოს.

**— თქვენ ვარაუდობთ, რომ ხელისუფლება ამგვარ დათმობაზე წავა ოპოზიციასთან?**

— ის მოთხოვნები, რაც ოპოზიციამ დააყენა, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლა, სასამართლოს და მათ შორის უზენაესი სასამართლოს ხელისუფლების ზეწოლისაგან განთავისუფლება, შესრულებადია. ეს ორი ინსტიტუტი თუ ოპოზიციის გარკვეულ კონტროლქვეშ მოექცა, მაშინ შეიძლება ეს იყოს საკმარისი პირობა, რათა ოპოზიციამ რაღაც ფორმით თვალი დახუჭოს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე და ჩაერთოს საპარლამენტო არჩევნებისთვის ბრძოლაში. თუ არც ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება, მაშინ გააჩნია რა ინტენსივობით და ფორმით წარიმართება ოპოზიციის საპროტესტო ტალღა. ოპოზიციის აქტიურობა მუდმივად შექმნის ქვეყანაში არასტაბილურობის, შეურიგებლობის, დაუმორჩილებლობის განცდას, რაც ერთი მხრივ გამოიწვევს იმას, რომ ოპოზიციის დღევანდელი მხარდამჭერები მუდმივად იქნებიან ფსიქოლოგიურად მობილიზებულები მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ასეთივე ბრძოლისთვის და მეორე მხრივ, ეს ხელს შეუშლის მთავრობას, განახორციელოს ის გეგმები და რეფორმები, რაც უკვე ცხადდება, მათ შორის ეკონომიკური პაკეტი, დოკუმენტი, რაც უკვე მთავრობამ წარმოადგინა და ბევრი სხვა რამ.



ოპოზიციის აქტიურობა ხელისუფლებას თავისი გეგმების განხორციელებაში ხელს შეუშლის, ამან შეიძლება ოპოზიციისათვის ახალი რეალიები და პერსპექტივები გააჩინოს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ არჩევნების სახით მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა, საპრეზიდენტო არჩევნები არ დასრულებულა და ხელისუფლების შეცვლა-შენარჩუნების საკითხი, რომელიც ნოემბრიდან მოყოლებული დგას, დღემდე აქტუალურია.

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ მისი შენარჩუნების შემთხვევაში, ეს უკვე იქნება ძალიან დასუსტებული, ძალიან სუსტმანდატიანი ხელისუფლება. საპარლამენტო არჩევნები შეიძლება სხვანაირი შედეგით დასრულდეს. თუ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციამ მნიშვნელოვანი შედეგები აჩვენა, სრულიად შესაძლებელია, რომ პარლამენტი იყოს ოპოზიციური, აქედან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგით. შეიძლება ეს პოლიტიკური კრიზისების საფუძველი გახდეს, ან პირიქით, მომწიფებული დემოკრატიის რაღაც ნიშანიც კი აღმოჩნდეს.

**— თქვენ არ გამორიცხეთ ოპოზიციის მხრიდან არჩევნების შედეგების აღიარება...**

— დიახ, ეს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ საარჩევნო ადმინისტრაციაზე და სასამართლოზე კონტროლი დათმო. შეიძლება ეს აღმოჩნდეს საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ოპოზიცია შეურიგდეს არჩევნების შედეგს და გააგრძელოს ბრძოლა საპარლამენტო არჩევნებისთვის.

**— თუ ოპოზიცია ხელისუფლების შეთავაზებებს არ დათანხმდა, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— თუ ოპოზიცია გააგრძელებს პროტესტს არჩევნების შედეგების გამო, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა ფორმით და რა ინტენსივობით გაგრძელდება საპროტესტო აქციები. ამას დრო გვიჩვენებს. ოპოზიციის მთავარი საზომი იქნება ხალხის მხარდაჭერა. ოპოზიციისათვის ხალხის მხარდაჭერაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები საქართველოში. თუ როგორ წარმართავს ოპოზიცია თავის მოქმედებებს საპარლამენტო არჩევნების კამპანიის პირობებში, ბევრად იქნება დამოკიდებული, თუ როგორ პარლამენტს მივიღებთ.

**— თქვენი აზრით, რამდენად აქვს გაცნობიერებული ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას და ოპოზიციას?**

— ვფიქრობ, როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას საკმარისად აქვს გაცნობიერებული, რომ თავისი მოქმედებებით კონსტიტუციური ველიდან არ უნდა გავიდნენ. ოპოზიციას ესმის, რომ კონსტიტუციური ველიდან გასვლის შემთხვევაში მოპოვებული შედეგის ლეგიტიმაცია მისთვის პრობლემური იქნება. თავის მხრივ, არც ხელისუფლებას აძლევს ხელს, რომ სერიოზული პროვოკაციები მოხდეს. იმედი მაქვს, ხელისუფლება ისეთ ნაბიჯს არ გადადგამს, რომ ოპოზიციას კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლისკენ უბიძგოს. ოპოზიციამ იცის, რომ წარმატებას და საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილგანწყობას ადვილად მაშინ მიაღწევს, თუ თავისი მოქმედებებით კონსტიტუციური ველიდან არ გავა.

**კობა ბენდელიანი,**
**ინტერპრესნიუსი**

# ახლა

● აი, „დემოკრატია“, აი, საკუთარი „რეპუტაციის უმწიკვლობისთვის“ გამუდმებული „ზრუნვის“ ნიმუში და მაგალითი!
აუ, რაოდენ შორსაა ამ გადასახედიდან ჩვენთვის კეისარის დროინდელი დემოკრატია და ზნეობრიობა!



**◎ ჩემი შენ გითხარიო?!**

# განა მარტო კეისრის ცოლი უნდა იდგეს ჭორებზე მაღლა!

## ანუ რომელმა გუნდმა შეიძლება გაიმეოროს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის ერთი ტაეპი – „მე იგივე ვარ მარად და მარად“

***თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველთა დიდმა უმეტესობამ იცის, რომელ კეისრის ცოლსა და ეჭვებზეა ლაპარაკი, მაინც ვიტყვი: როდესაც იულიუს კეისრის ცოლზე მითქმა-მოთქმა დაიწყო, ეს რომის უგვირგვინო მეფე უყოყმანოდ გასცილდა მეუღლეს – კეისრის ცოლი ჭორებზე მაღლა უნდა იდგესო!***

ბრავო, ცეზარ!

საკუთარი თავისა და ქვეყნის მოყვარულ-პატივისმცემელი ნებისმიერი ადამიანი, მით უფრო პირველი ხელმძღვანელი, სწორედ ასე უნდა იქცეოდეს!

ნებისმიერი ხელისუფლებაც, სხვათა შორის!

მით უმეტეს, ახლანდელი – გაგანია დემოკრატიის დროინდელი.

მით უფრო თუ დემოკრატიის უშქუროზაზეც აქვს პრეტენზია, თანაც ძლივს მბჟუტავზე კი არა, ლამის ალექსანდრიის შუქურაზე უფრო მოკაშკაშისა და, კიდევ მით უფრო, ამით ლამის სხვათათვის დემოკრატიისკენ გზაგამკვლევისა.

ასეთი ხელისუფლება ყოველმხრივ სამაგალითო და მისაბაძი უნდა იყოს სხვათათვის, ყოველნაირად უნდა უფრთხილდებოდეს საკუთარ უმწიკვლო რეპუტაციას (თუ ასეთი რამ საერთოდ აქვს, ცხადია!).

ანუ, თუ მავანის ბოროტი ენა მას ცილს სწამებს და, მით უფრო, ეჭვქვეშ აყენებს მის ლეგიტიმურობას, მან ყოველი ღონე უნდა იხმაროს ეჭვის მოსახსნელად, რაღაც პროცედურული ნორმების თუ ვადის დარღვევა არ უნდა დაასახელოს აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელებისაგან თავის არიდების მიზეზად.

რამ გამაკეთებინა ესოდენ ვრცელი შესავალი?

რამ და, გუშინწინდელმა „პრაიმტაიმმა“, რომელზეც ინგა გრიგოლიამ ოპოზიციონერებიც მოიწვია და სახელისუფლებო პოზიციის წარმომადგენლებიც.

ოპოზიციონერმა კახა კუკავამ თქვა – ხელახლა გადავითვალოთ ცალკეულ უბნებზე ხმები, იქ დამონტაჟებული ვიდეოთვალის მონაცემთა გაშიფვრითაც ვნახოთ, მართლაც იმდენმა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, რამდენიც ოქმებშია აღნიშნული, თუ ბევრად ნაკლებმა, და თუ ყველაფერი სწორად იქნება, არჩევნების სამართლიანობასაც ვაღიარებთ და გამარჯვებასაც მოგილოცავთო.

დააგვიანეთო, უპასუხა სახელისუფლებო შტოს წარმომადგენელმა პავლიკო კუბლაშვილმა, ეს უშუალოდ არჩევნების დღეს ან მეორე დღეს მაინც უნდა მოგეთხოვათ, საჩივარიც დაგეწერათ და განვიხილავდით, ახლა გვიანია, ამით დროის გაჭიანურებას და ინაუგურაციის გადადებას ცდილობთო.

**აი, „დემოკრატია“, აი, საკუთარი „რეპუტაციის უმწიკვლობისთვის“ გამუდმებული „ზრუნვის“ ნიმუში და მაგალითი!**

**აუ, რაოდენ შორსაა ამ გადასახედიდან ჩვენთვის კეისარის დროინდელი დემოკრატია და ზნეობრიობა!**

შედარებისათვის უკაცრავად კი გახლავართ, მაგრამ „პოზიციონერთა“ ამგვარი პოზიცია უფრო ნიკოლოზ მეორის დროინდელი რუსეთის ერთი დიდმოხელის ცხოვრებისეულ კრედოს მაგონებს:

მექრთამეობით ცნობილ ამ ჩინოვნიკს მთხოვნელისთვის საქმის მოკვარახჭინების სანაცვლოდ ათასი მანეთი მოუთხოვია.

ამდენი არა მაქვს, ხუთასს მოგცემ, სამაგიეროდ კი სიტყვას გაძლევ, რომ ამას ვერავინ ვერასდროს გაიგებსო, უპასუხნია მთხოვნელს.

შენ ათასი მანეთი მომეცი და მერე, თუ გინდა, ჩემი კაბინეტიდან გასვლისთანავე დაიწყე ყვირილი, რომ ქრთამი მომეციო, იქედნურად ჩაუცინია დიდმოხელეს.

ამის ანალოგიით თითქოს ლოგიკურია დასკვნა: – **ოღონდ დამკვირვებლებმა (გადამწყვეტწილად უცხოელებმაძ, უცხოეთის სახელმწიფოებმა და მეთაურებმა სამართლიანად ჩატარებულად სცნონ არჩევნები, თორემ ამომრჩეველთა ძალიან დიდი ნაწილი და ოპოზიცია რას იტყვის, სულაც არ გვადარდებსო.**

ანუ, ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.

ან კიდევ, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო (აკი, განათლებისა და მეცნიერების ყოფილმა მინისტრმა, ამჟამინდელი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გამოჩენილი მეცნიერების მისამართით გამოიყენა ადრე ეს ანდაზაძ და ა.შ.

**მოკლედ, ნუ გააჩმახეთო და ნუ ყიყინებთო, რა!**

**შედითო, ჩვენს მდგომარეობაში, ნაზი ყურები გვაქვს და ნუ გვილიზიანებთო თქვენი წკმუტუნით!**

**ხოლო თუ ჩვენს მდგომარეობაში არ შეხვალთ, სადაც საჭიროა, იქ შეხვალთო!**

**პირდაპირ ასე არ უთქვამთ, მაგრამ მათს ნაუბარში „სტრიქონებს შორის იკითხებოდა“...**

ახლა გადაცემის მონაწილე მეორე პოზიციონერ მამაკაცზე, ბატონ გივი თარგამაძეზეც, უფრო სწორად, მის გამოსვლაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

**ჟურნალისტებს რა უკულტუროდ ექცეოდით, ემუქრებოდით და აშინებდით, ქალბატონ ჟურნალისტს თავში ტელეფონის აპარატი კინაღამ როგორ ჩაარტყითო, უსაყვედურებდა იგი გიორგი ხაინდრავას.**

ამ უკანასკნელის ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ მის ადგილას რომ ვყოფილიყავი, რამდენიმე მომენტს მაინც შევახსენებდი ბატონ გივის.

მან იქნებ ჩვენთან ერთად გაიხსენოს, რაოდენ „კულტურულად“ და „კეთილმოსურნედ“ ექცეოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ნაშვიდნოემბრევს თუნდაც „იმედის“ ჟურნალისტებს.

რატომღაც არც ის გვახსოვს, რომ რომელიმე მათგანს პროტესტის მაგვარი რამ მაინც გამოეთქვათ ამ ტელევიზიის დარბევის გამო.

**თუმცა რაღა შორს მივდივარ, – ის, რაც ხელისუფლებამ ამ რამდენიმე თვის წინათ გამომცემლობა „სამშობლოში“ განთავსებულ უამრავ რედაქციას, ორ ტელეკომპანიას და რამდენიმე ასეულ ჟურნალისტს დაგვმართა,**

იხ. 7 გვ.

**◎ მზე ყინვაში**

# „გამარჯვებული“ ჯიქურ მიაბიჯებს!...

***13 იანვარს ცესკოს თავმჯდომარემ წარბშეუხრელად გამოაცხადა არჩევნების საბოლოო შედეგები და გამარჯვებული კანდიდატიც დაასახელა. შემდეგ, ასევე წყნარად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა ამოწურულად ცნო და კაბინეტის კარებიც გამოიხურა. ეს მაშინ, როდესაც წინა დღეებში გამოცხადებული მიტინგის ადგილზე, რესპუბლიკის მოედანზე უმართებულო და უსამართლო არჩევნებით შეწუხებულმა ხალხმა მითითებულ დროზე – 14 სთ-ზე ადრე შეკრება დაიწყო. შეიკრიბა, მაგრამ რა შეიკრიბა! ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. ქალაქის ყველა უბნიდან, ყველა მიმართულებიდან მოდიოდნენ უკმაყოფილო ადამიანები. სხვას არაფერს, მხოლოდ სამართალს და თავიანთი ხმების დაცვას ითხოვდნენ... ერთად თავმოყრილი ამდენი ადამიანი საქართველოს არც ერთ მოედანზე ჯერ არავის უნახავს. ამ შთამბეჭდავ მოვლენას წინ ბევრი სხვა საყურადღებო ეპიზოდი უძღოდა, რომ არაფერი ვთქვათ 12 იანვარს ფალიაშვილის ქუჩის 9-ში გახსნილ უნიკალურ მუზეუმზე, სადაც 5 იანვრის არჩევნების ყალბი ოქმები და სხვა დოკუმენტები იყო გამოფენილი.***

2008 წლის დასაწყისში საქართველო კვლავ მღელვარებამ მოიცვა. 5 იანვარს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ხალხი დაშოშმინების ნაცვლად უფრო ააფორიაქა. სიყალბემ და სკამისათვის „თავგანწირულმა“ ბრძოლამ ახლა კიდევ მეტად იჩინა თავი, თუმცა, სწორედ აღნიშნული მომენტი არჩევნებისთვის მზადების პერიოდშიც იგრძნობოდა. ყოფილმა პრეზიდენტმა არ დაზოგა ძალ-ღონე, ნიჭი და, რაც მთავარია, სახსრები, საქართველოს კუთხე-კუნჭული მოიარა, მოინახულა ხალხი, მოფერება-დაყვავებით, საჩუქრებით, სამომავლო დაპირებებით აღჭურვილი ცდილობდა მოსახლეობის გულის მონადირებას. რადიო-ტელევიზიიდანაც უხვად იღვრებოდა სააკაშვილის მიერ სამომავლოდ ასაშენებელი „კომუნიზმის“ ჰანგები. ამ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის მაღალჩინოსნები. ერთი სიტყვით, სახლში თუ კარში, გზაში თუ ტრანსპორტში, ყველგან მიმზიდველი და საამური ცხოვრების სურათებს გვიხატავდნენ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში და ჩვენს თვალსაწიერში არ ტოვებდნენ სხვა კანდიდატებზე ფიქრისთვისაც კი ადგილს... მიუხედავად ამისა, დაკვირვებულ ადამიანს არ გამოეპარებოდა ხალხის განწყობა ამ აქტიურად მოღვაწე კანდიდატისადმი. ერთ-ერთი პარტიის ლიდერის გამოთქმა „სააკაშვილი შვიდ ნოემბერს დამთავრდაო“, დაემთხვა ხალხის აზრს და მომხიბვლელმა კლიპებმა ბევრი ვერაფერი შეძლეს რა. დიახ, გასული წლის 7 ნოემბერი თითქოს ის გარდამტეხი და უცნაური დღე იყო, როდესაც ხალხის გონებაში აინთო ლამპარი, ადვილად დასანახი გახდა ავი და კარგი. ამ დღემ ქართველი ხალხი აამაღლა, არადა მისი დამცირება უნდოდათ, კომბლებითა და რეზინის სახრეებით გატეხა...

ორი თვე გავიდა მას შემდეგ. ყველამ ვიცით რაც ხდებოდა ამ დღეებში. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, იმედი, რომ ცივილიზებული მეთოდებით, ანუ არჩევნებით ყოფილ პრეზიდენტს სახელმწიფოს მმართველი ორგანოებიდან ჩამოაცილებდნენ, არ მართლდება. უხეშმა ძალამ ამჯერადაც „იზეიმა“ და გაყალბებული არჩევნებით პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის კვლავ ყოფილი პრეზიდენტი ლიდერობს.



შობის წინა დღეს 6 იანვარს შედგა მიტინგი რიყეზე. შეწუხებული და შეშფოთებული თბილისელების დიდი რაოდენობა კვლავ ერთად დადგა. აქ კიდევ ერთხელ გამოხატა ხალხმა თავისი ნება, საკუთარი ხმების დასაცავად მზადყოფნა.... ოპოზიციური პარტიის ლიდერები საუბრობდნენ არჩევნების დღეს მთელი საქართველოს მასშტაბით მომხდარ შეცდომებზე, ძალადობასა და უხეშ დარღვევებზე, აქ შეკრებილთ არჩევნების გაყალბებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. არც ეგზიტპოლის მიერ ნაჩქარევად გამოცხადებული პროცენტები მიაჩნდათ საიმედოდ.

იხ. 4 გვ.

№ 8. ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2008 წელი.

# დუღილი გრძელდება

**შუააზიური კარაბადინის მიხედვით ავადმყოფობად მიჩნეული „უსინდისობა“ დიდი ხანია ჭირს ჩვენში ყოველი დონის არჩევნებს და ალბათ, კიდევ დიდხანს გაგვყვება ქრონიკული გრიპივით**



**◉ გვეხმაურებიან**

## ოფიციალური მონაცემები ასეთია

**ამ დღეებში გაზეთის რედაქციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციიდან გამოხმაურება მიიღო. როგორც ამ უწყების პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლ. მჭედლიძე იწერება, „საქართველოს რესპუბლიკის“ 2008 წლის 9 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩინელები თევზს ანკესით იჭერენ, ქართველები – ვაუჩერებით“ – დაშვებულია სტატისტიკური უზუსტობანი, კერძოდ, გაზრდილია საქართვე-**



**ლოში ჩინეთის მოქალაქეების გადაადგილების მაჩვენებლები. რეალური მონაცემები ასეთია: 2004 წელს საქართველოში შემოვიდა 546 ჩინელი, გავიდა 606; 2006 წელს შემოვიდა 1512, გავიდა 1237; 2007 წლის 11 თვეში შემოვიდა 1586, გავიდა 1419.**

**ამასთან, გაცნობებთ, რომ 2006 წლის ივნისიდან სასაზღვრო უწყების ოფიციალური სახელია „შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია“ და არა „საზღვრის დაცვის დეპარტამენტი“, როგორც ეს წერილშია მოხსენიებული.**



**◉ მზე ყინვაში**

## „გამარჯვებული“ ჯიქურ მიაბიჯებს!...

(მესამე გვერდიდან)

დრო მიდის. თანდათან ვცილდებით არჩევნების დღეს, მაგრამ არ ნელდება ის შთაბეჭდილება, რომელიც იმ დღემ დატოვა. პრეზიდენტობის „გამარჯვებული“ კანდიდატი თავისი გზით ჯიქურ მიაბიჯებს, ინაუგურაციისათვის ემზადება. მას ამის საბაბს აძლევენ თავისი მიკროგარემოც, ცენტრალური საარჩევნო კომისიაც და, სამწუხაროდ, უცხოელი დამკვირვებლებიც, რომლებიც ამ არჩევნებს დემოკრატიულს უწოდებენ და ამ თვალსაზრისს წერილობითაც აფორმებენ.

ისმება კითხვა – რა მოუტანა ვადამდელი არჩევნების პროცესმა და თავად არჩევნებმა ქვეყანას? ცუდის მეტი არაფერი! არამცთუ შეფერხდა, არამედ შეჩერდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ავად თუ კარგად მიმდინარე პროცესი. დაირღვა ცხოვრების რიტმი. ხალხი მოსწყდა ძირითად საქმიანობას. ჩაკვდა ხელოვნება, მეცნიერება, ნებისმიერი შემოქმედებითი მუშაობა. შეიქმნა დაძაბული ფსიქოლოგიური განწყობილება, რასაც ხელი შეუწყო თითქმის ყველა ტელეარხმა. ყველაზე მწარედ განიცადა საზოგადოებამ „იმედის“ ჟურნალისტების დაქსაქსვა, რასაც პირადად მე მოქალაქეობრივ და ჟურნალისტურ უპასუხისმგებლობას ვუწოდებდი (თუმცა, როგორც ამ დღეებში გახმიანდა, აქ საქმე უფრო რთულად ყოფილა და პრობლემაც სხვა მხრიდან მოდიოდა!). ტელეარხების უმეტესობის მიერ მხოლოდ ერთ-ერთი კანდიდატის მიმართ გაკეთებულმა გაცხოველებულმა პიარმა საზოგადოება ორ ნაწილად გაყო: იმათ ვინც დაიჯერა ეს პიარი და ვინც – არ დაიჯერა. ამ უკანასკნელს ხელს უწყობდნენ თავად მთავრობის და მმართველი პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთივე აგორებული ყალბი პიარით არა მარტო ხალხის თავისუფალ ნებაზე მუშაობდნენ, არამედ თავადაც მტკიცედ ირწმუნეს საკუთარი უპირატესობა და განუმეორებლობა. ამას მოწმობდა არჩევნების პარალელურად მიმდინარე სახალხო ზეიმები, მდიდრული გართობები, არჩევნების მეორე დღესვე გამართული „დიდი გამარჯვების“ აღმნიშვნელი აღტაცებული და ტრიუმფალური კონცერტი. მთავრობისა და მისი საპრეზიდენტო კანდიდატის ასეთმა სითამამემ, მათი თანამოაზრეთა მიერ სასწრაფოდ ჩატარებული ეგზიტპოლის გადაჭარბებული სიხარულით აღიარებამ, ზოგიერთი, ყველა მთავრობას მორგებული ჩინოვნიკის მეტისმეტად აქტიურობამ, საზოგადოების დიდი ნაწილი კიდევ უფრო დაარწმუნა არა მარტო ყოფილი პრეზიდენტის, არამედ მთელი მთავრობის სიყალბეში, ინფანტილიზმში და მათ მეხოტბეთა ერთგვარ სიბრიყვეში, ისეთ სიბრიყვეში, რომელიც კი იცი რომ სიბრიყვეა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ სიბრიყვეა, არც თუ ისე ადვილად გასაბათილებელია. მაგონდება ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ასეთი გამონათქვამი: როგორ გინდა დააჯერო ბრიყვი, რომელიც, გაუბათილებ თუ არა ერთ სიბრიყვეს, იქვე მეორეს იწყებს... ნუ შევაწუხებთ ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს. დღევანდელ ქართულ რეალობის დანახვას დიდი სიბრძნე არ სჭირდება, იქიდან გამოსვლა კი მართლა რთულია და მოითხოვს გამჭრიახობას, გონიერებას, ერის კონსოლიდაციას.

არჩევნები გაყალბებულია! ასე სჯერა ხალხის დიდ ნაწილს, ანდა რა დიდი დაჯერება უნდა, განა არ იციან ვის მისცეს საკუთარი ხმა? დიახ, არ ტყუიან საერთაშორისო დამკვირვებლები, როცა ამბობენ, არჩევნები მშვიდად მიმდინარეობდაო. არ იყო ომი და აურზაური, აქ უფრო სხვაგვარი კომბინაციები გაიქსელა, და თუ სურვილი იქნებოდა, გარეულიც და შინაურიც კარგად შეამჩნევდა ყველაფერს. რა მისია ჰქონდათ უცხოელ დამკვირვებლებს, რა აინტერესებდათ მათ, წუთუ იმ უიმედობისა და ნიჰილიზმის დანერგვა ქართველ ხალხში, რომელიც არა მხოლოდ საკუთარი მთავრობისადმი არამედ, ახლა უკვე იმ ქვეყნებისადმი მიიმართება, რომელთა წარმომადგენლები სამართლიანი არჩევნების დამკვირვებლებად მოგვევლინენ და სამწუხაროდ, იმედი გაგვიცრუეს... მსუბუქი გასეირნება და ხალხზე ზერელე გადახედვა, ასეთ საჭირბოროტო საქმეზე დაძახებულთ, ნამდვილად რომ არ ეკადრებათ. იციან კი საღ ჩამოვიდნენ და რა ხალხთან აქვთ საქმე? როგორც ჩანს, უკეთესი ხელისუფლების ღირსად არ ჩაგვთვალეს ან, საერთოდ, არ ვენაღვლებით... მაშ რატომ არ ჰგავდნენ დემოკრატიული ქვეყნებიდან ჩამოსულთ და დემოკრატიული პრინციპებით მოაზროვნე ადამიანებს?

დიახ, უცხოელი დამკვირვებლები მიკერძოებულები და ტენდენციურები გამოდგნენ, ხალხმა ეს დაინახა, მაგრამ საქმეს ეს როდი შველის, ჩვენდა სავალალოდ, მათ დადეს წერილობითი დოკუმენტი ხუთი იანვრის არჩევნების დემოკრატიულობის შესახებ, რაც ქართველი ხალხის წისქვილზე როდი უშვებს წყალს.

გასული წლის 7 ნოემბერს ქართველ ხალხს ერთად დგომისთვის და სამართლიანი მოთხოვნებისთვის ზურგზე მათრახი გადაუჭირეს, საშინელი მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ახლა უკვე ახალი – 2008 წელია, ძალადობა გრძელდება. შეძლებს კი ქართველი ხალხი შექმნილი ურთულესი სიტუაციიდან გამოსვლას ისე, რომ არ დაირღვეს სამართლიანობის პრინციპი და დაცული იქნეს ადამიანური ღირსება?

**გულნარა სტურუა**

**◉ ავადმყოფობა – უსინდისობა**

## „შორია გურჯისტანამდე“!

### ანუ სააკაშვილის „გენერლები“ და ოპოზიციის „იაღლიშები“

**ევროპელ ექსპერტთა აღიარებით, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირთან ჰიტლერის დამარცხების ძირითად მიზეზად სამმა „გენერალმა“ ითამაშაო გადამწყვეტი როლი: რუსეთის ტერიტორიამ; რუსულმა მოთმინებამ; რუსულმა ზამთარმა.**

საქართველოს პრეზიდენტმა და მხედართმთავარმა კარგად გაითვალისწინა ჰიტლერის დამარცხების გამოცდილება და თავისი ნებასურვილით ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები გაგანია ზამთარში დანიშნა.



როგორც ყველა გამოჩენილ ავანტიურისტს, თან ბედმაც გაუღიმა: ასეთი უხვთოვლიანი და ყინვიანი იანვარი საქართველოში ბოლო 70 წელიწადი არ ყოფილა!

სააკაშვილმა სწორად გათვალა, რომ ზამთარი მოსახლეობის აქტივობასა და მაღალმთიან რეგიონებში უცხოელი დამკვირვებლების გადაადგილებას შეაფერხებდა და ამის მომიზეზებით სათავისოდ გაწელავდა ხმების დათვლის პროცესს მთელ საქართველოში.

აქედან გამომდინარე, ოპოზიციის ერთ-ერთი „იაღლიში“ ის არის, რომ იგი დათანხმდა 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს, რასაც უცხოელი პოლიტოლოგებიც აღნიშნავენ.

7 იანვრის დარბევის ფონზე ჩვენი „ჭრელი“ ოპოზიცია დაეხარბა სააკაშვილის მიერ გადმოყრილ საკენკს და მაგრადაც „ჭამა“!

თან, „იმედის“ მეორედ საეჭვო შეჩერებამ საბოლოოდ „ჩაძირა“არჩევნების ობიექტურად ჩატარების იმედიც.

უტელევიზიოდ დარჩენილი ოპოზიცია ბრმა „მეროჭიკე ბერს“ დაემსგავსა.

ამდენად, სააკაშვილს კიდევ ერთი ძლიერი გენერალი – ტელევიზია, (თანაც სამი არხი ერთად!ძ აღმოაჩნდა არსენალში – ერთადერთი აქუბარდიას ლეგიტიმური ტელევიზიის წინააღმდეგ, რომლის მაუწყებლობა მხოლოდ დედაქალაქით შემოიფარგლება!

ამრიგად, სააკაშვილის მხარდამჭერი ორი მძლავრი გენერალი – ზამთარი და ტელევიზია დავასაბუთეთ.

მაგრამ იყო კიდევ ერთი, – ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გენერალი...

უნივერსიტეტში, იდიომატიკის შესახებ საკურსო თემაზე მუშაობისას, თემის ხელმძღვანელმა ბატონმა ტარიელ კვანჭილაშვილმა ერთ-ერთ დამხმარე მასალად მომაწოდა შუააზიური, ძველი კარაბადინის ქართული თარგმანი.

კარაბადინში ყველა სნეულება ალფაბეტის მიხედვით იყო დალაგებული ა-დან ჰ-მდე.

ასო უ-ზე ავტორის მიერ დასახელებული იყო „უსინდისობა“, როგორც ავადმყოფობა, და იქვე მიუთითებდა: „სამწუხაროდ, მთელი დუნია შემოვიარე, მაგრამ ამ სნეულების წამალი ვერ ვიპოვეო“.

რამდენად მართებულია ზნეობრივი ფუნქციის მატარებელი „უსინდისობის“ ავადმყოფობად მიჩნევა, საკამათოა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ „უსინდისობა“ იყო 5 იანვრის არჩევნებში სააკაშვილის დამხმარე ყველაზე ძლიერი გენერალი. (იქნებ მარშალიც!ძ...

გაყალბების ტოტალური უსინდისობა მაღალმთიანი საარჩევნო უბნებიდან-სომხურ-აზერბაიჯანულ დიასპორაში გარანტირებული „ხუთიანების“ ორასპროცენტიან (მკვდრებიანად,ძ შედეგებამდე!

შუააზიური კარაბადინის მიხედვით ავადმყოფობად მიჩნეული „უსინდისობა“ დიდი ხანია ჭირს ჩვენში ყოველი დონის არჩევნებს და ალბათ, კიდევ დიდხანს გაგვყვება ქრონიკული გრიპივით (მით უმეტეს ასეთი ჯიუტი, სკამს ჩაბღაუჭებული პრეზიდენტობის კანდიდატის ხელშიძ...

მოკლედ, როგორც ფერეიდნელი ქართველები იტყოდნენ ხოლმე, „შორია გურჯისტანამდე“!...

**ომარ ჩიტაია,**
**7 ნოემბერს დაზარალებული**

# მასმედია

**მარტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით სტუდია „ახალი დროება“ ყოველ კვირა დღეს შემოგვთავაზებს საკვირაო ტელეჟურნალს, რომლის სახელიც ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. გადაცემას მოამზადებენ თითქმის იგივე „დროების“ გუნდის ჟურნალისტები და ტექნიკური პერსონალი. როგორც მათ აღნიშნეს, წამყვანის ვინაობა მაყურებლისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იქნება**



**ინფორმაცია**

## რეფერენდუმი ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად

პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი მსოფლიო რუკაზე საქართველოს ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ირინა სარიშვილმა აღნიშნა, ცესკოს განცხადებით გუშინ მიმართეს, რათა მიიღონ სპეციალური ბლანკები, რომლებზეც რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით 200 ათასი მოქალაქის ხელმოწერა უნდა დაფიქსირდეს.

— საქართველომ ისეთი ქვეყნის სტატუსი უნდა შეინარჩუნოს, როგორებიც არის ავსტრია და შვეიცარია, — აღნიშნა მან.

მისივე თქმით, თუ კომისია მათ მოთხოვნას ერთი კვირის განმავლობაში არ დააკმაყოფილებს, პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ წევრები საქართველოს ყველა რაიონში ხელმოწერების შეგროვებას მაინც დაიწყებენ.

ინტერპრესნიუსი

**ტელევიზია**

# „ახალი დროება“ ეთერში საზოგადოებრივ არხზე გავა

*ტელეჟურნალ „დროების“ იმ ჟურნალისტებმა, რომლებმაც 26 ნოემბერს პროტესტის ნიშნად დატოვეს ტელეკომპანია „იმედის“ არხი, 15 იანვარს „თბილისი-მარიოტში“ პრესკონფერენცია გამართეს. მათ განცხადება გააკეთეს სტუდია „ახალი დროების“ შექმნის შესახებ. სტუდია დააფუძნეს ყოფილი „დროების“ ჟურნალისტებმა (დაჩი გრძელიშვილმა, ზაზა წულაძემ, სოსო ბარნაბიშვილმა, რუსიკო ცხომელიძემ და ლიზა ვაჩნაძემ), თუმცა შემდგომში არ გამორიცხავენ სხვა ჟურნალისტებთან თანამშრომლობას. „ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ სადაც არ უნდა ვიყოთ, ყოველთვის დავიცავთ ჩვენს პროფესიულ ღირსებას, საამისოდ კი მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი სტუდია არის ყველაზე კარგი გამოსავალი“, — ამბობენ ისინი.*

მარტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით სტუდია „ახალი დროება“ ყოველ კვირა დღეს შემოგვთავაზებს საკვირაო ტელეჟურნალს, რომლის სახელიც ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. გადაცემას მოამზადებენ თითქმის იგივე „დროების“ გუნდის ჟურნალისტები და ტექნიკური პერსონალი. როგორც მათ აღნიშნეს, წამყვანის ვინაობა მაყურებლისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იქნება.

**„საზოგადოებრივ მაუწყებელზე არჩევანი შეჩერდა იმიტომ, რომ პირდაპირი გაგებით ის ეკუთვნის ხალხს, საზოგადოებას და არა რომელიმე ადამიანს,** — თქვა დაჩი გრძელიშვილმა, — **ვერ ვიტყვი, რომ გადაცემაც ისეთივე „შუშხუნა და მჩქეფარე“ იქნება, როგორც ეს გასული ოთხი წლის განმავლობაში იყო, თუმცა ვეცდებით, რომ სიუჟეტი იყოს მაქსიმალურად ობიექტური, მიუკერძოებელი და დაბალანსებული“.**



სტუდია „ახალი დროების“ ფინანსური პარტნიორია „სტუდია — ჯი-ელ-თი-ვი“, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე სტუდია „ახალ დროებას“ მხოლოდ ფინანსურად და ტექნიკურად უზრუნველყოფს, არ ჩაერევა სატელევიზიო გადაცემის მომზადებაში, ჟურნალისტები მხოლოდ საკუთარი მრწამსითა და შეხედულებით იხელმძღვანელებენ. ასევე „სტუდია — ჯი-ელ-თი-ვის“ გადასაწყვეტია, თუ ვის მიჰყიდის ის პროდუქციას. მომავალში ეს შეიძლება იყოს რომელიმე სხვა არხი, ამ ეტაპზე კი საზოგადოებრივი მაუწყებელთან დადებული კონტრაქტი ერთ სატელევიზიო სეზონზეა გათვლილი.

**რაც შეეხება „დროების“ წამყვანს გიორგი თარგამაძეს, ჟურნალისტების განცხადებით, მასთან მხოლოდ ძველი, კონსტრუქციული ურთიერთობა შეინარჩუნეს და ამ პროექტის გამო გიორგისთან კონსულტაციები არ გაუვლიათ.**

**თეა მოსია**

**ინფორმაცია**

# რეფორმა „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ოპოზიციასთან შეთანხმებით?

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის პარიტეტის საფუძველზე დაკომპლექტდება.

ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა და აღნიშნა, რომ შესაბამისი შეთანხმება ოპოზიციასთან უკვე მიღწეულია.

— სამეურვეო საბჭოში ვაკანსიები ისედაც არსებობდა, საბჭოს თითოეულმა წევრმა კი მზადყოფნა გამოთქვა, რომ დატოვოს თანამდებობა, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და დასძინა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეორგანიზაცია და რეფორმირება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, თავად ჰქონდა სერიოზული შენიშვნები მაუწყებლის პოლიტიკასთან და მის სტანდარტებთან დაკავშირებით.

მისივე თქმით, აღნიშნული რეორგანიზაცია არხის რიგით ჟურნალისტებს არ შეეხებათ.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადადგომაზე კომენტარისგან „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ლევან რამიშვილი თავს იკავებს.

როგორც ლევან რამიშვილმა განაცხადა, ამ თემაზე მას ინფორმაცია არ აქვს.

— ამდენად, კომენტარის გაკეთება არ შემიძლია. მხოლოდ ის ვიცი, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის დაახლოებით ორი მესამედი ვაკანტური ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულიდან იყო, წევრების ნაწილს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, ნაწილი კი სხვა თანამდებობაზე გადავიდა. სამწუხაროდ, შემოდგომაზე შექმნილი პოლიტიკური კრიზისის გამო, ამ ვაკანსიების შევსება ვერ მოხერხდა, — განაცხადა ლევან რამიშვილმა.

გაერთიანებული ოპოზიციის წევრი, დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადადგომას ხელისუფლების მიერ მიღებულ გონივრულ გადაწყვეტილებად აფასებს.

როგორც ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, აღნიშნული საკითხი გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნათა შორის ერთ-ერთი იყო.

— ხელისუფლება მიხვდა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ეკუთვნის არა ხელისუფლებას, არამედ ხალხს,— აღნიშნა ბერძენიშვილმა.

მისივე თქმით, ეს პოზიტიური ფაქტია და შემდგომში სამეურვეო საბჭო პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტდება.

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადადგომას კეთილგონიერების გამარჯვებად და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს.

უსუფაშვილი კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თემაზე საუბარმა შედეგი გამოიღო.

როგორც მან თქვა, საბჭოს გადადგომას მოჰყვება უკვე ახალი საბჭოს დაკომპლექტება პარიტეტისა და ბალანსის საფუძველზე, კონსულტაციებისა და ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

— ეს, ნებისმიერ შემთხვევაში, ძალიან სერიოზული ნაბიჯი იქნება მომავალი პოლიტიკური ცხოვრებისთვის, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

უსუფაშვილი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადადგომაზე გადაწყვეტილების მიღებით ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნას დაასწრო.

— ოპოზიციის შენიშვნებს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ ნამდვილად ვერ გავიზიარებ. თუმცა, მივესალმები პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევის თაობაზე. სამეურვეო საბჭოში ვაკანსიები ისედაც გვქონდა, რაც საბჭოს ფუნქციონირებას აფერხებდა. ბუნებრივია, ახალი საბჭოს დაკომპლექტების შემდეგ ახალი დირექტორი დაინიშნება, — განაცხადა თამარ კინწურაშვილმა.

მისივე განმარტებით, ჩაერთვება თუ არა გენერალური დირექტორის პოსტზე გამოცხადებულ კონკურსში, მხოლოდ ახალი სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების შემდეგ გადაწყვეტს. მანვე აღნიშნა, რომ თუ საბჭო პარტიული ნიშნით დაკომპლექტდება, კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს.

სახალხო დამცველის განცხადებით, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებისგან უნდა შედგებოდეს.

— მიმაჩნია, რომ სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები. მე იმ პიროვნებებთან არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს, რომლებიც საბჭოს შემადგენლობაში არიან. პირიქით, ძალიან დიდ პატივს ვცემ თითოეულ მათგანს და ყველას კარგად ვიცნობ. მაგრამ ყველა მათგანი მანამდე პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის ძალიან აქტიური მხარდამჭერი იყო, რაც, ზოგადად, ტელევიზიის მიმართ საზოგადოების უნდობლობას წარმოშობდა. ამიტომ ჩემი პოზიციაა, რომ სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც პოლიტიკური მრავალფეროვნება, ასევე ის მრავალფეროვნება, რაც ქართულ საზოგადოებაში არსებობს, — განაცხადა სახალხო დამცველმა.

მისივე თქმით, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოში, როგორც უმრავლესობის ასევე უმცირესობის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. იქნება ეს ეთნიკური, რელიგიური, საუნივერსიტეტო წრეების თუ სხვა ფენების წარმომადგენლები.

სუბარს მიაჩნია, რომ ასეთი სამეურვეო საბჭოს მიმართ საზოგადოების ყველა ფენას მაღალი ნდობა ექნება და, შესაბამისად, ის აქტიურად ჩაერევა სარედაქციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაშიც.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს უკვე ყოფილი წევრი, კომპოზიტორი რუსუდან სებისკვერაძე მიიჩნევს, რომ სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება სამართლიანად შეუჩერდა.

— სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში, თავდაპირველად, 9 ადამიანი შედიოდა, თავმჯდომარის გარდა. ორი მათგანი ორი წლის ვადით იყო არჩეული, სამი — ოთხი და სამი კი — ექვსი წლის ვადით. მოგვიანებით, საბჭოს შემადგენლობა წევრებმა სხვადასხვა მიზეზის გამო დატოვეს, ორი წლის ვადით არჩეულებს კი დრო ამოეწურათ, ლევან თარხნიშვილი ცესკოს თავმჯდომარე გახდა, გიორგი ხუბუა — თსუ-ს რექტორი, თამარ კინწურაშვილი - „მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი და ა.შ. საბოლოოდ, შემადგენლობაში სამი ადამიანი დავრჩით და ცხადია, საბჭო თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებდა, — აღნიშნა სებისკვერაძემ.

კომპოზიტორი აცხადებს, რომ მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, თუ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში ოპოზიციის წარმომადგენლებიც შევლენ და თავიანთი პოზიციას დაიცავენ.

ინტერპრესნიუსი

• შედეგებმა ხელისუფლებას აჩვენა, რომ მათი ვითომდა პროდასავლური კურსი, სინამდვილეში, ჩვენს ქვეყანას დასავლეთს აშორებს. ჩვენთან ჰგონიათ, რაც უფრო ხშირად ვიყვირებთ „ნატოს“ და რაც მეტ ჯარისკაცს გავაგზავნით ერაყში, მით უფრო პრონატოური ქვეყანა ვიქნებით



## ◉ ინფორმაცია

### დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებს

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ხელისუფლებას მისი დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებს.

საია-ს თავმჯდომარის გიორგი ჩხეიძის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასოციაციის პოლიტიკურ დაინტერესებაზე მას შემდეგ დაიწყეს საუბარი, რაც მათ არჩევნები არადემოკრატიულად გამოაცხადეს. გიორგი ჩხეიძე გულგრილობაში ბრალს ცესკოსაც სდებს და აცხადებს, რომ საია-ს 230 საჩივრიდან მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა.

– ჩვენი ორგანიზაცია 13 წელია არჩევნებს აკვირდება და არავის არა აქვს უფლება, იქნება ეს პოლიტიკური სუბიექტი, მათ შორის ჩვენი წევრი, თუ საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული წევრები, მიუთითოს ჩვენს დაინტერესებაზე. დამკვირვებელი ორგანიზაცია არსებობს იმიტომ, რომ არჩევნებს დააკვირდეს, დარღვევები დააფიქსიროს და ამის შესახებ საზოგადოებას აცნობის და ლეგალურ კანონიერ მეთოდებს მიმართოს, – განაცხადა ჩხეიძემ.

### თავად ლომაია ვის წისქვილზე ასხამს წყალს?

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება სწორედ საზოგადოების უმეტესი ნაწილის სურვილია.

როგორც კახა ლომაია აცხადებს, მას სჯერა, რომ საბოლოო ჯამში კეთილგონიერება გაიმარჯვებს და სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა საკუთარ ინტერესებს არავინ დააყენებს.

ლომაია აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილის სათანამშრომლოდ გაწვდილი ხელი კვლავ ძალაში რჩება და ფიქრობს, რომ სწორედ ეს არის საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის სურვილი, რომ მოვლენები განვითარდეს მშვიდობიანად და კონსტრუქციულობის ფარგლებში.

ასევე, ლომაია აღნიშნავს, რომ საზოგადოების ნაწილს და ოპოზიციური სპექტრის ნაწილსაც ესმის, რომ ქვეყნიდან გასული არასტაბილურობის სიგნალი, თუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს და ვის აწყობს ქვეყანაში არეულობა.

### ბაქრაძე ძალზე კმაყოფილია

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაწყებულ დიალოგს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე მიესალმება და მას კარგ წამოწყებას უწოდებს.

როგორც დავით ბაქრაძემ გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყების წინ განაცხადა, წარსულზე საუბარი უნდა შეწყდეს და ყველამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის.

ინტერპრესნიუსი

## ◉ კითხული კაცის აზრი

# ნატოს მსურველთა რაოდენობა შემაშფოთებლად შემცირდა

*ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში (ნატოძ საქართველოს გაწევრიანებაზე ბევრს ლაპარაკობენ. მოსახლეობაში ამ საკითხის გამო აზრთა სხვადასხვაობაა. 5 იანვრის პლებისციტის შედეგებმა კი ცხადყო, რომ ნატოს წევრობას საქართველოს მოქალაქეების უმეტესობა დადებითად, ნაწილი კი უარყოფითად აფასებს. არიან ისეთებიც, რომლებიც უბრალოდ ვეღარ არკვევენ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ჩვენი ქვეყნისთვის ასეთ ალიანსს.*



*ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ექსპერტი, „საქართველო-ნატოში“ ორგანიზაციის პრეზიდენტი შალვა ფიჩხაძე.*

**– არჩევნების შედეგად გაირკვა, რომ 61 პროცენტს სურს, 39 პროცენტი კი წინააღმდეგია საქართველოს ნატოში გაერთიანებისა. თქვენ როგორ აფასებთ პლებისციტის ასეთ შედეგს?**

– ჩემი შეფასებით, ეს შედეგები შემაშფოთებელია. 61, ვფიქრობ, დაბალი პროცენტია. შარშან, თებერვალში ჩატარებული გამოკითხვა აჩვენებდა, რომ ნატოს მომხრეთა რიცხვი 82 პროცენტი იყო. ათ თვეში მოხდა ოცდაერთპროცენტიანი ვარდნა. ახლა კი, ამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, თავიდან რომ ჩავატაროთ გამოკითხვა, დარწმუნებული ვარ, უფრო დაბალ პროცენტს მივიღებთ.

**– ნატოს მსურველთა რიცხვის შემცირებას რით ახსნით?**

– ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში ნატოს თემა რაღაცნაირად მიბმულია მიხეილ სააკაშვილთან და თუ ადამიანები იტყოდნენ, ნატოში გვინდაო, ამით ისინი სააკაშვილის მხარდაჭერასაც გამოხატავდნენ. ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, თუმცა მასში არის ლოგიკის მარცვალი და რაღაცაში შეიძლება დავეთანხმოთ ასეთ შეფასებასაც. თუ ეს რეალურად ასე იყო, მაშინ გამოდის, რომ ნატომ კი არ ამოქაჩა სააკაშვილის შედეგები, არამედ მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი იყო იმდენად დაბალი, რომ ამან დასწია პლებისციტის შედეგები.

ერთი მხრივ, ასეთმა შედეგებმა ხელისუფლებას აჩვენა, რომ მათი ვითომდა პროდასავლური კურსი, სინამდვილეში, ჩვენს ქვეყანას დასავლეთს აშორებს. ჩვენთან ჰგონიათ, რაც უფრო ხშირად ვიყვირებთ „ნატოს“ და რაც მეტ ჯარისკაცს გავაგზავნით ერაყში, მით უფრო პრონატოური ქვეყანა ვიქნებით, პროდასავლურობა გამოიხატება დემოკრატიის ხარისხში, თორემ ერაყში ჯარების გაგზავნა პაკისტანსა და საუდის არაბეთსაც შეუძლიათ. დემოკრატიის ხარისხი ჩვენში დაბალ დონეზე რომ არის, ამას ხედავს უპირველესად საზოგადოება, რომელიც სულში ჩაფურთხებულია ამ არჩევნების შემდეგ. რაც დასავლეთმა ჩვენი არჩევნები სცნო, ბევრ ადამიანს აღარც დასავლეთის გახსენება უნდა.

**– 39 პროცენტი, რომელთაც არ სურთ ნატოს წევრობა, ხომ არ ფიქრობენ იმ საფრთხეზე, რომ შესაძლოა ნატოში გაწევრიანების შემდეგ ამერიკამ საქართველო ერაყთან ურთიერთობის დროს პლაცდარმად გამოიყენოს?**

– ასეთი განწყობა, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო გაიზრდება. მე მინდა საქართველოს გაერთიანება ნატოში და ასეთი შედეგები ჩემთვის სავალალოა. ნატოს მიმართ უარყოფითი განწყობის გაზრდის მიზეზი კი საქართველოს ხელისუფლების „დემოკრატიულობის“ ბრალია. დღეს ყველაზე კარგი ანტინატოური პროპაგანდისტი არის ხელისუფლება და ის დასავლეთი, რომელიც ცნობს ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილ ქმედებებს.

ჯერ არავინ იცის, იწყებს თუ არა ამერიკა ომს ირანთან, არა მგონია, ამერიკა ამას აპირებდეს. ასეც რომ იყოს, საქართველო რატომ უნდა იყოს პლაცდარმი? მე ამ აზრს არ ვეთანხმები და ეს ჩემთვის ზედმეტად ჰიპოთეტურია.

**– იქნებ კიდევ ერთხელ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს ნატოს წევრობა, რა სარგებელი და მნიშვნელობა შეიძლება მოუტანოს ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა საქართველოს? რატომ გვინდა ან არ გვინდა ნატო?**

– დღეს ნატო იმიტომ არ უნდა ხალხს, რომ იციან, ნატო ეს არის დასავლეთი, დასავლეთი კი არის ამერიკა და დასავლეთმა და ამერიკამ კი ცნეს ის, რაც მოხდა საქართველოში.

ზოგადად კი ნატო ეს არის უსაფრთხოება, უსაფრთხოება რუსეთისაგან, ტერორიზმისგან, უსაფრთხოება ახალი გამოწვევებისგან, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობისგან. ასეთ დროს სახელმწიფოს შეუძლია რესურსები მიმართოს სხვა მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა. შ. საკითხების გადასაჭრელად.

**– თუ ჩვენ გავხდით ნატოს წევრი ქვეყანა, რამდენად დაგვეხმარება ეს სეპარატიზმთან კონფლიქტების მოგვარებაში?**

– თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ეს შექმნის პრაქტიკულად ხელშეუვალ გარანტიას, რომ ჩვენ იურიდიულად ამ ტერიტორიებს არ დავკარგავთ. ნატო არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც ხონჩით მოგვართმევს რამეს. ჩვენ თავად უნდა დავიბრუნოთ ეს ტერიტორიები, მაგრამ ჩვენ გვექნება გარანტია, რომ მათ არ დავკარგავთ და დღეს, სამწუხაროდ, ასეთი გარანტია არ არსებობს. ეუთო, გაერო და საერთაშორისო სამართალიც კი უფრო სუსტი გარანტიები არიან ამისა, ვიდრე ნატო. ეს უკანასკნელი თვისობრივად უფრო ძლიერი და მყარი არგუმენტია.

**– რაც შეეხება არჩევნებს. თქვენ განაცხადეთ, რომ საჭიროა ოპოზიცია მოემზადოს საპარლამენტო არჩევნებისთვის. თუკი არ იზიარებთ ჩატარებული არჩევნების შედეგებს, რა გარანტია არსებობს, რომ იგივე არ განმეორდება გაზაფხულზეც?**

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ იგივე მოხდება გაზაფხულზე, თუკი ოპოზიცია არ იმოქმედებს კოორდინირებულად და ძლიერად. როგორც ამ ბოლო წლებში ირკვევა, საქართველოში ჩხუბი მორევაზეა და იმარჯვებს ის ვინც ძლიერია არა კანონით, არამედ უხეში ძალით. ჩემი აზრით, სწორედ უხეში ძალა უნდა აჩვენოს ოპოზიციამ ხელისუფლებას.

**– „უხეში ძალის არჩევნებში“ რას გულისხმობთ?**

– ვგულისხმობ მხოლოდ მშვიდობიან გზებს. ისინი არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ განცხადებებით, არამედ მშვიდობიანი მანიფესტაციებით, დემონსტრაციებით, შესაძლოა ბოიკოტირებითაც. მე არ ვარ პოლიტიკური ლიდერი და არ ვიცი რა იხარშება მათ თავებში, მაგრამ ჩემს მიერ ჩამოთვლილი გზები და მეთოდები აპრობირებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

**– ოპოზიცია აპირებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობას. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ასეთი დაუმორჩილებლობა?**

– თუნდაც მანიფესტაციებით, ხელისუფლების მიერ გამოცემული განკარგულებების მშვიდობიანი შეუსრულებლობით. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა შესაძლოა გამოხატოს ბოიკოტირებით, მაგალითად, მოსახლეობამ არ მოიხმაროს იმ კომპანიების პროდუქცია, რომელთა ხელმძღვანელობაც აფინანსებს პრეზიდენტ სააკაშვილის კამპანიას და ა. შ.

მე არავის არ მოვუწოდებ, უბრალოდ გაცნობთ იმ გზებს და საშუალებებს, რომელიც გამოიყენება ხოლმე სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. მთავარია, ამ ყველაფერმა გამოიღოს ეფექტიანი შედეგი, ხელისუფლება მიხვდეს, რომ ყველაფერი არ გაუვა და დასავლეთს აჩვენოს, რომ ჩვენ ვართ საზოგადოება და არა ჯოგი.



ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე**

## ახლა

● იქნება გაიხსენონ, რამდენ ხანს და როგორ ლამის სათითაოდ ითვლიდნენ ბიულეტენებს ამერიკაში, როდესაც იქაური პრეზიდენტობისთვის ერთმანეთს ჯორჯ ბუში და ელ გორი ეცილებოდნენ, და როდესაც უპირობა გამარჯვებულის გამოვლენა გაჭირდა



◎ ჩემი შენ გითხარიო?!

# განა მარტო კეისრის ცოლი უნდა იდგეს ჭორებზე მაღლა!

(მესამე გვერდიდან)

**როდესაც უპარდონოდ გამოგვყარა თავის დროზე ძირითადად ჩვენივე შემოსავლებით აგებული შენობიდან, არა მგონია, ქვეყნის მმართველ ძალას, რბილად რომ ვთქვათ, დიდ პლუსად ჩაეთვალოს.**

ტელეფონის აპარატი კინაღამ ჩაარტყითო თავში ქალბატონს! – გაოგნებული იყო ხაინდრავას საქციელით ბატონი გივი.

ქალბატონს, რა თქმა უნდა, უკულტუროდ არ უნდა მოეპყრა, მაგრამ **თავად ბატონმა გივიმ თავის დროზე, ხელისუფლებაში მოსვლამდე, ერთ კაცს თავში მსუბუქი ტელეფონის აპარატი კი არა, ბოთლი რომ ჩასცხო, ის დაავიწყდა?** ან იქნებ ეს ქალბატონისთვის თავში ტელეფონის აპარატის ჩარტყმის მცდელობაზე ნაკლებად მძიმე დანაშაულია?

**როგორც „ავი ენები" ამბობენ, ამ ფაქტის გამო მაშინ აღძრული სისხლის სამართლის საქმე არც დღეს არისო დახურული.**

ამას ნიშნის მოგებით კი არ ვამბობ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი რამ არ განმეორდეს, არ იყოს კბენაი, ღრენაი, ჩარტყმაი...

იმადაც ვამბობ, რომ მორალი არ გვიკითხოს ყველამ, ვისაც ეს არ ეზარება!

... გადაცემის მონაწილეთა კამათში ერთხელ კი სცადა ინგა გრიგოლიამ სიტყვის „ჩაკვეხება" – **მაინც ვერ გავიგე, რატომ არ შეიძლება იმ ვიდეოთვალის ჩანაწერის გაშიფვრაო, მაგრამ...**

ისე, სხვათა შორის, ბატონმა პალიკომ და მისმა თანამოსაგრე უმრავლესობის წარმომადგენლებმა, რომელთა აზრითაც, ხმების გადათვლისა და ვიდეოთვალის ჩანაწერების გაშიფვრის თაობაზე ოპოზიციის მოთხოვნა დაგვიანებულია, **იქნება გაიხსენონ, რამდენ ხანს და როგორ ლამის სათითაოდ ითვლიდნენ ბიულეტენებს ამერიკაში, როდესაც იქაური პრეზიდენტობისთვის ერთმანეთს ჯორჯ ბუში და ელ გორი ეცილებოდნენ, და როდესაც უპირობა გამარჯვებულის გამოვლენა გაჭირდა.**

აქ კი, დაგვიანებულიაო, ცესკოსთვის კანონით დადგენილ რვა დღის ვადას ვერ დავარღვევთო.

იქნებ მუდამ ისე დაგვეცვათ ყველა კანონი!!!

მორალის კითხვად ნუ ჩამითვლით, ბატონო პალიკო, მაგრამ **დღეს სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ის კი არ არის, რომ თითქოს გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო უარი ვთქვათ ოპოზიციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მით უფრო მაშინ, როდესაც ეჭვქვეშ დგას არჩევნების დემოკრატიულობა, არამედ ის, რომ ყოველნაირად ვცადოთ არჩევნების სამართლიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვის მოხსნა-გაქარწყლება.**

სხვანაირად, ხალხის ძალიან დიდი ნაწილის მოთხოვნების უგულებელყოფით, სასურველს ვერ მივაღწევთ.

თუმცა რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, როდესაც ისედაც ყველაფერი ნათელია.

ამიტომ მაინც იმით დავამთავრებ, რითაც დავიწყე:

მარტო კეისრის ცოლი არ უნდა იდგეს ჭორსა და ეჭვზე მაღლა!

*და ბოლოს: გადაცემისას ერთი ეჭვი გამიჩნდა (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე) იმასთან დაკავშირებით, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ბევრი ვერაფერი ასწავლა საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობას, ვისი არცთუ მოსაწონი საქციელ-პოზიციითაც გრძნობდა საზოგადოება თავს შეურაცხყოფილად. იმდენად შეურაცხყოფილად, რომ ათეულ ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში (და არა ოდენ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, როგორც მისი წარმოდგენა ხელისუფლებას სურსძ.*

*რაო, ბატონებო, თუ მცირეოდენი პერიფრაზირებით ვიტყვით, არ ვსდევთ ჟამთა სვლას, იგივე ვართ მარად და მარად?!*

**რუსლან რუსია.**

◎ ინფორმაცია

### უნგრეთის პრინციპი ჩვენთან არ გაამართლებს

გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, დეპუტატი დავით ზურაბიშვილი უარყოფს ინფორმაციას, თითქოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ხელმძღვანელის თანამდებობა ერთ-ერთ მათ წევრს სურს.

ზურაბიშვილის განცხადებით, გოგა ხაინდრავამ მხოლოდ ხუმრობით თქვა, რომ „მაუწყებლის" გენერალური დირექტორობა სურს და ეს სინამდვილეს არ შეესაბამება.

რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკომპლექტებას, დეპუტატი მიუღებლად მიიჩნევს, რომ სამეურვეო საბჭოში პარტიების წარმომადგენლები შევიდნენ.

„ქვეყანაში უნდა მოიძებნოს ისეთი შვიდი ადამიანი, რომლებიც ხელისუფლების და ოპოზიციის ნდობით იქნებიან აღჭურვილები", – აღნიშნა ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ პარტიული პრინციპით იყო დაკომპლექტებული უნგრეთის „საზოგადოებრივი მაუწყებელი" და ამან იქაც ვერ გაამართლა.

**ინტერპრესნიუსი**

№ 8. ოთხშაბათი, 16 იანვარი. 2008 წელი.

◎ ექსპერტი



# მამუკა არეშიძე: ცხინვალსა და სოხუმში სააკაშვილის ხელისუფლებას ნაკლებად ენდობიან

*მიხეილ სააკაშვილის გამარჯვების ოფიციალურად აღიარების შემდეგ ინაუგურაციის დღე დაინიშნა, ხოლო გაერთიანებული ოპოზიცია საარჩევნო უბნების ხელახლა გახსნას და ხმების კიდევ ერთხელ გადათვლას მოითხოვს. დათმობს თუ არა ხელისუფლება პოზიციას? აღიარებს თუ არა ქართველი ხალხი ახალი პრეზიდენტის ლეგიტიმურობას და რამდენად უარყოფითად იმოქმედებს ეს ფაქტი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე? – ამ კითხვებს უპასუხებს ექსპერტი-პოლიტოლოგი კავკასიის მოგვარების საკითხებში მამუკა არეშიძე.*

**– უპირველესად, როგორ შეაფასებთ 2008 წლის 5 იანვარს? ჩატარდა თუ არა არჩევნები სამართლიანად და სცნობთ თუ არა ამ ხელისუფლებას ლეგიტიმურად?**

– არჩევნები, რასაკვირველია, უსამართლო იყო. ძნელი სათქმელია, რომ ამ ხელისუფლების ლეგიტიმაციის ხარისხი მაღალია.

ძალიან სერიოზული დარღვევები აღინუსხა, განსაკუთრებით კონფლიქტის მიმდებარე და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე. პირად შეჯიბრებაში მიხეილ სააკაშვილმა ყველას აჯობა, მაგრამ 50 პროცენტს ვერ მიაღწია.

ვფიქრობ, სამოქალაქო დაპირისპირება პიკეტირებით, სასამართლოებით თუ სხვა ფორმებით აუცილებლად გაგრძელდება. ვნებათაღელვა საპარლამენტო არჩევნებამდე შენარჩუნდება... ოპოზიციამ მიზანს, გარკვეულწილად მიაღწია. მოთხოვნების დიდი ნაწილი დაკმაყოფილებულია. ერთადერთი, ჯერჯერობით რაც ვერ შეძლო, ძალაუფლების ხელყოფაა, თუმცა სამართლიანობის მოთხოვნის მაღალ ხარისხს მან უკვე მიაღწია.

**– თუ ხელისუფლება არალეგიტიმურად ჩაითვალა, რა გავლენას მოახდენს ეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე? ხომ არ ფიქრობთ, რომ მის მიმართ უნდობლობა კიდევ უფრო გაღრმავდება?**

– სამწუხაროდ, აფხაზები და ოსები არც სამართლიანად არჩეულ პრეზიდენტს აღიარებდნენ. ამიტომ ეს მიზეზი და არგუმენტი არაა. შევარდნაძის და სააკაშვილის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ კონფლიქტური რეგიონების მიმართ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. არსებობს გამოუსწორებელი და ფატალური შემთხვევები. სააკაშვილის შეცდომა ე. წ. სამხრეთ ოსეთში, 2004 წლის მოვლენები იყო, რომელთა შედეგების გამოსწორებასაც წლები სჭირდება.

ამიტომ ცხინვალშიც და სოხუმშიც სააკაშვილის ხელისუფლებას ნაკლებად ენდობიან. ახლა სრულიად სხვა მიდგომები, ნაბიჯები და ადამიანებია საჭირო აფხაზეთთან და ცხინვალთან დიალოგის დასაწყებად.

ცხინვალის რეგიონში სანაკოევის სახით მისაღები პროექტი არსებობდა, რომელიც კარგად დაიწყო და ძალიან ცუდად გაგრძელდა. მათ იდეაში, სანაკოევის ხელით, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სურათის შეცვლა სურდათ. თუმცა მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, მხოლოდ ფასადი შეიცვალა. იქ არ ამუშავებულა ამ რეგიონის სოფლის მეურნეობის ამღორძინებელი პროექტები. რეგიონში იმის მინიმუმი გაკეთდა, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო. პიარულმა ღონისძიებებმა, კონცერტებმა საქმე უკან დაწიეს.

აფხაზეთის შემთხვევაში კი ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია, რომ ის ჩვენსკენ შემოებრუნებინა. ეკონომიკურ საკითხებზე ლაპარაკი ზედმეტია.

**– მაგრამ ზემო აფხაზეთი?..**

– ზემო აფხაზეთის საკითხი ძალზე სასარგებლო და მნიშვნელოვანია, მაგრამ საერთო გლობალური მასშტაბებიდან გამომდინარე ეს მხოლოდ ეპიზოდია, თუმცა ზედმეტად გაბუქებული. კარგია, რომ აფხაზეთის ერთ მესამედს საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებს და იქ ჩვენი იურისდიქცია მოქმედებს, მაგრამ აფხაზეთის გული სოხუმია და საერთო ჯამში ის მართავს ტერიტორიას...

არა მგონია, ამ ხელისუფლების პირობებში იქ მდგომარეობა შეიცვალოს. მათ ძალიან გაუჭირდებათ რამის გაკეთება, რადგან ნდობა არ არის. ახალი ხელისუფლება კი, თავისთავად ახალი იდეების მატარებელია და შეეძლო უფრო მეტი გაეკეთებინა.

**– აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერი აფხაზეთში ჩერქეზების ჩამოსახლებას და ქართველების კუთვნილ ტერიტორიაზე ჩასახლებას აპირებს...**

– წყალწაღებული ხავსს ეჭიდება. ამ ეტაპზე, აფხაზებისთვის დემოგრაფიული საკითხი ძალზე მწვავეა. შარშან დაფიქსირდა, რომ სომხური ეთნოსი აფხაზურს სჭარბობდა. აფხაზები, როგორც ეთნიკური ჯგუფი, იკარგება და 2 თაობის შემდეგ სრულად აღარ იარსებებს. ისინი ხვდებიან, რომ ამ რთულ ვითარებაში ეთნოსს კარგავენ. მათ დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ თავიანთი ეთნიკური პორტრეტი, სახე ქართველებთან ერთად შეენარჩუნებინათ. თუმცა, ბუნებრივია, ნაბიჯების გადმოდგმის ეშინიათ, რადგან აქედან არანაირი შეთავაზება არ ჩანს...

ბაღაფშს იდეაში ჯერ მუჰაჯირების ჩამოსახლება ჰქონდა, მაგრამ ამას, აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, რადგან მუჰაჯირები ისლამური რელიგიური ჯგუფია. ბოლოს მან დემოგრაფიული პრობლემის გამოსწორება უფრო „ახლობელი", თუმცა ისევ მუსულმანი კავკასიელების ჩასახლებით სცადა.

**– რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ბაღაფში და ხაჯიმბა?**

– არსებობდა ბაღაფშის მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიელების ჩამოსახლებას და, ამასთან, მთიელი ხალხების კონფედერაციის მებრძოლებისთვის სამშვიდობო კონტინგენტის მინიჭების უფლებას ითვალისწინებდა, რამაც აფხაზეთში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამის წინააღმდეგ ვიცე-პრეზიდენტი ხაჯიმბაც წავიდა. განხეთქილების მიზეზიც ეს არის...

ესაუბრა
**სოფიო გოგლიძე**

# შინ და გარეთ

● კვლავ არის პოლიტიკური „კაფიაობა, ამ „კაფიაობიდან“ გამომდინარე „კეჭნაობაზე“ გადადიან, „კეჭნაობას“ კი, ხშირად იარეზიც მოჰყვება!



◎ მეცნიერება

# ჟურნალისტებს — ყოველმხრივი თანადგომა

***გასული წლის ბოლოს კიევში შედგა საერთაშორისო სიმპოზიუმი „მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაცია — ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების აშენების ძირეული ფაქტორი“. ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაცია (მასაძ, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, იუნესკოს საქმეთა უკრაინის ეროვნული კომისია და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და მეცნიერების ისტორიის კვლევების ცენტრი.***

მხარდამჭერთა როლში გამოდიოდნენ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისია და უკრაინის განათლების და მეცნიერების სამინისტრო, სამეცნიერო ხელმძღვანელთა როლში — მასას პრეზიდენტი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ბორის პატონი და უნივერსიტეტთა ევროაზიის ასოციაციის პრეზიდენტი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვიქტორ სადოვნიჩი. საპროგრამო კომიტეტის 11 წევრს შორის გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე.

იქვე გაიმართა მასას საბჭოს სხდომა, რომელზეც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას წარმოადგენდა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმის ბოლო სხდომაზე, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბატონი როინი სამივლინებო ანგარიშით გამოვიდა. მისი გამოსვლიდან მხოლოდ რამდენიმე მომენტს გთავაზობთ.

მასას საბჭომ მოისმინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მ. კოვალჩუკის მეცნიერული მოხსენება „ახალი მეცნიერებატევადი ეკონომიკის ნანოტექნოლოგიური ფუნდამენტი. დსთ-ის ახალი შესაძლებლობები XXI საუკუნეში“. რუსეთელ სწავლულებს ახალი წონადი ფუნდამენტური და გამოყენებითი შედეგები მიუღიათ ნანოტექნოლოგიების დარგში, რომელთა მასშტაბურ გამოყენებას ეკონომიკის იერის შეცვლის, ნედლეულზე მისი დამოკიდებულებისგან განთავისუფლების უნარი შესწევს. ნანოტექნოლოგიების პროექტის მასშტაბურობისა და აქტუალობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა მისი რეალიზაციისთვის დსთ-ის ქვეყნების იმ სამეცნიერო ორგანიზაციების მოხმობა, რომელთაც მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ნანოტექნოლოგიების დარგის რამდენიმე მიმართულებით (საბედნიეროდ, ასეთი ორგანიზაციები ჩვენშიც, საქართველოშიც მოიძევებიანძ.

მასას მოღვაწეობის ძირითადი შედეგების შესახებ (2006 წლის ოქტომბერი — 2007 წლის ოქტომბერიძ“ — ასეთი მოხსენებით წარუდგა საბჭოს მასას პრეზიდენტი ბორის პატონი. 90 წელს მიტანებული სახელგანთქმული უკრაინელი სწავლული თურმე გასაოცრად მხნედ გამოიყურება და არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს ცოცხალი გონებით, იშვიათი მეხსიერებითა და ჯანსაღი აზროვნება-მეტყველებით.

როინ მეტრეველმა პრეზიდიუმის სხდომის მონაწილეთა ყურადღება განსაკუთრებულად მიაპყრო შემდეგ ადგილს ბორის პატონის მოხსენებიდან:

**„ამჟამინდელ პირობებში სამეცნიერო თანასაზოგადოებამ აუცილებლად უნდა გააძლიეროს ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ამასთან დაკავშირებით საგულისყურო მოჩანს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და მეცნიერებაზე დამწერ ჟურნალისტთა ასოციაციის (ძ. მოსკოვიძ წინადადება დსთ-ს ქვეყნების აკადემიურ სამეცნიერო დაწესებულებებში ჟურნალისტთა ჯგუფების გაცნობითი გამგზავრებების ორგანიზების მიზანშეწონილობის შესახებ“.**

მხცოვანი სწავლულის ამ რეკომენდაციის საფუძველზე მასას საბჭოს შემდეგი დადგენილება მიუღია:

1. მხარი დაეჭიროს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და მეცნიერებაზე დამწერ ჟურნალისტთა ასოციაციის (ძ. მოსკოვიძ წინადადებას დსთ-ის ქვეყნების აკადემიურ სამეცნიერო დაწესებულებებში ჟურნალისტთა ჯგუფების გაცნობითი გამგზავრებების ორგანიზების მიზანშეწონილობაზე.

2. ეთხოვოს მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელობას ჟურნალისტებისათვის ყოველგვარი თანადგომის აღმოჩენა.

ბატონმა როინმა ისარგებლა შემთხვევით და კეთილი სიტყვა საჯაროდ შეაწია „საქართველოს რესპუბლიკას“, თავის ფურცლებს ყოველთვის მზადყოფნით უთმობს მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობას, საერთოდ, ქვეყნის მეცნიერულ ცხოვრებასო...

**მინაწერი: როინ მეტრეველის მიერ კიევიდან ჩამოტანილ დოკუმენტებში ასეთ საგულისხმო ინფორმაციას გადავაწყდი და ერთგვარ ჩაროზად შემოვინახე: მასას საბჭოში შეიქმნა ელექტრონული ტექნიკის ფუნქციური მასალების პრობლემათა სექცია, სადაც საქართველოდან შევიდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის მიკროელექტრონიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი რაფიელ ჩიქოვანი და კიბერნეტიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი დავით ჯიშიაშვილი.**

**თამაზ ებანოიძე**

◎ შემთხვევა

**უკვე, შეიძლება ითქვას, ასე თუ ისე, ჩაიარა საარჩევნო „ბატალიებმა“ და დადგა დრო დაფიქრებისა — რა მოგვიტანა მან? ბევრი ამბობს, გამარჯვებაო, ზოგი — მშვიდობაო, ზოგი — უსამართლობაო და ასე შემდეგ, მაგრამ ყოველი ასეთი პასუხი, რა თქმა უნდა, დაპირისპირებულ მხარეთა შეხედულებით, არ იქნება ობიექტური და ამიტომ არის, რომ ჭიდილი კარგახანსაა მოსალოდნელი.**

# მიწისქვეშეთშიც ნათელს აფრქვევდნენ მხურვალე სიტყვები

მოკლედ, კვლავ არის პოლიტიკური „კაფიაობა, ამ „კაფიაობიდან“ გამომდინარე „კეჭნაობაზე“ გადადიან, „კეჭნაობას“ კი, ხშირად იარეზიც მოჰყვება!

მაგრამ ამჯერად მესრულებით არ მაინტერესებს მათი „კეჭნაობა“ თუ იარები. მე აღშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ ე. წ. „მთავრობა“ ჩემს სულიერ სამყაროში შეიჭრა და საახალწლო-საშობაო დღესასწაული, როგორც იტყვიან, შხამად შემარგეს, როდესაც არჩევნები საშობაო პერიოდს დაამთხვიეს და ისეთი პოლიტიკური ბაკქანალიებით შემოიჭრა ჩემს ოჯახში, ჩემს სალოცავებში, რომ გავოგნდი!

ვის მოაფიქრდა ეს 5 იანვარი? რატომ მოაფიქრდა და, თუ მოაფიქრდა, რატომ არ დაუფიქრდა ნაფიქრალს? ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ასე არ ეგების ქცევა, მითუფრო, შობის დღესასწაულის ასე „გაუფერულება“! ამიტომაც იყო მრავალი ულმერთოება და ლახვარჩაცემა მოყვასთა ზურგში ამ ე.წ. „არჩევნებზე“; ამიტომ იცინოდნენ, ალბათ, მგზავრები, ავჭალიდან მომავალ ავტობუსში, რომლითაც, ჩვენდა უნებურად, ჩვენთვის უცნობი „სექტის“ თუ „რელიგიის“ მიმდევრებთან ერთად ვიმგზავრეთ არჩევნების დღეს!

... საღამოს 5 თუ 6 საათი იქნებოდა. დასახლების ბოლოს, ეგრეთწოდებულ „სამხედრო კათედრიდან“, ჩვენთვის ფრიად საპატივცემულო ვაჟკაცის გასვენებიდან მოვდიოდით. ამ „კათედრის“ შენობაში, უკვე წლების მანძილზე შეკედლებულან საკუთარი მიწიდან განდევნილი ოჯახები და აქ ელოდებიან თავიანთ გაურკვეველ ხვალინდელ დღეს. აქეთ ავტობუსები იშვიათად თუ დადიან და უბრალო გამვლელი ტრანსპორტითაც სარგებლობენ მგზავრები. ერთ-ერთმა ასეთმა „ავტობუსმა“ გაგვიჩერა და მომღიმარმა ქალიშვილმა შეგვიპატიჟა. გვესიამოვნა. ავედით, თავისუფალი ადგილები დავიკავეთ და ქალიშვილი თავზე დაგვადგა.



— თქვენი გვარები?... სასურველია პირადობის მოწმობებიც... თუ თან გაქვთ!...

გავოცდით, მაგრამ სახელი და გვარები მაინც გავუმხილეთ. ქალიშვილმა, რატომღაც, უბის წიგნაკში ჩაინიშნა.

— რაშია საქმე? — ვიკითხეთ ჩვენ.

— არა უშავს, დამატებით სიებში ჩაგრთავთ!...

— რომელ დამატებითში?!... ჩვენ ჩვენს უბანშიც ვასწრებთ ხმის მიცემას?!... ჯერ კიდევ გვაქვს დრო!

— არა უშავს... აქაც მიიღებთ მონაწილეობას არჩევნებში და... იქაც!... — ჩაიცინა ქალიშვილმა.

— რაშია საქმე?... ვის ავტობუსში მოვხვდით?... — იეჭვა ერთ-ერთმა ჩვენგანმა.

— რა მოხდა?... ჩვენ არჩევნებზე დაგვიანებულებს ვემსახურებით, რა მნიშვნელობა აქვს, სად მისცემთ ხმას? ჩვენ კი ჩაგვეთვლება!... — ავტობუსს სიცილმა დაუარა.

— გააჩერეთ, ჩვენ ასეთ უხამსობაში არ ვიღებთ მონაწილეობას!... „კარუსელი“ თქვენთვის შეინახეთ... გააჩერეთ ახლავე!... აღშფოთდა „ჩვენებური“.

— რამ გადაგრია, შე კაცო? შობის დღესასწაულზე არჩევნებს რომ ნიშნავდა მთავრობა, მაშინ გადარეულიყავით! ეკლესია მარხულობს, თქვენ კი, ერთმანეთს ლანძღავთ და პოლიტიკურ „ტლინკაობაში“ ხართ... დიდება უფალს, ესაა თქვენი რელიგია და რწმენა? — ხმა ჩაგვაწყვეტინა ულვაშიანმია „ბიძამ“ და ამაყად გადახედა „მრევლს“.

— გააჩერეთ, ჩავდივართ!... — ამოვიკვნესეთ ჩვენ.

— არა, ბრძანდებოდეთ, მეტრომდე მაინც მიგიყვანთ, ჩვენ ღმერთის ნამდვილი მორწმუნენი გახლავართ და შუა გზაზე არ ჩამოგყრით... თქვენი სახელით კი, ჩვენ ჩავყრით, ბიულეტენებს ურნაში... ურწმუნოებსაც წყალობს ჩვენი ღმერთი, ღმერთმა გიშველოთ!...

მეტროსთან ჩამოვედით.

— ვინ იყვნენ, ბიჭო, ესენი?

— რა ვიცი... „კარუსელის“ ხალხი იყო, ეტყობა!

— „კარუსელი“ და არჩევნები არ გვეყოფოდა, ახლა ესენიც შემოგვეტენენ... გადაკრულად ლაპარაკობდნენ, რაღაცას, „ჩვენი ღმერთიიო“... მართლმადიდებლები არ იყვნენ, ვითომ?...

— რა ვიცი, აბა! — ვუპასუხე და მეტროში ჩავედი.

მატარებლის ვაგონში ხუთიოდე მგზავრი თუ იქნებოდა. კუთხეში მივჯექი. უბის ჯიბეში წმინდა მღვდელმთავარ ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სახელზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სათხოვარი მედო ულამაზეს ბუკლეტად შეკრული. ამოვიღე და თვალი მივადევნე მის გულმხურვალე სიტყვებს:

**„წმინდათა შორის საკვირველო, დიდო სასწაულმოქმედო, მოწყალეო ჩვენო მამაო ნიკოლოზ, მე, მდაბალი მორჩილი შენი, ილია მეორე, განგებითა და ნებითა ღვთისათა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ჩემი ერის და ეკლესიის სახელით გევედრები: უწინამძღვარე და მარადჟამს იყავ მფარველი საქართველოს წმიდა ეკლესიისა და ქართველი ხალხისა, რათა ერსა ჩემსა აწ და მარადის ქრისტეს გზით ევლოს... დაგვიცავ ხილულ და უხილავ მტერთაგან... გვიხსენ ღვთის გმობისა და უარყოფისაგან, ამპარტავნობისა, შურისა და დიდებისმოყვარეობისაგან, ურთიერთმტრობისა, განკითხვისა, ცილისწამებისა და ვერცხლისმოყვარეობისაგან, სიცრუისა, სიძულვილისა, ანგარებისა და ცრუდმეტყველებისაგან... სოფელსა მშვიდობა მოჰფინე და კაცთა შორის სათნოება დანერგე... მუხლმოდრეკით გამოვითხოვ შენს წმიდა ლოცვა-კურთხევას!“**

... მიდიოდა მატარებელი და, მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ხმამაღლა გამომსვლოდა ლოცვანთა კითხვა. გაოცებული მგზავრები შემომცქეროდნენ და სათნოებით ისახავდნენ პირჯვარს.

... ამ მიწისქვეშეთშიც ნათელს აფრქვევდა ერის სულიერი მამის ეს მხურვალე სიტყვები!

**ზაურ ფიფია**

№ 8. ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2008 წელი.

**ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთს თავისუფლად შეუძლია საქართველოდან დე ფაქტოდ გამოყოფილი ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პირდაპირ შეერთება, რითაც ქარს გაატანს ამერიკულ მითს საქართველოს დაცვის საიმედოობის თაობაზე**



**ჩვენ და გარესამყარო**

# „საარჩევნო“ წლის რეალიები

**ახლად ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა საქართველოში კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენ სუსტია დემოკრატიის ყლორტები ქვეყანაში, რამდენად არამტკიცეა საზოგადოების უმეტესი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და რამდენად თხელია ქვეყანაში სტაბილობა-არასტაბილობის გამყოფი კედელი.**

როგორც ჩანს, საქართველოს საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ შიდა და, მით უმეტეს, საგარეო ურთიერთობათა თავის ნებაზე დალაგება, ჯერჯერობით მაინც, ნაკლებად შეგვიძლია. შიდაპოლიტიკური ურთიერთობების სტაბილიზებაში ვგულისხმობთ, უწინარესად, სიღარიბის ზღვარსა და მის ქვემოთ მოსახლეობის მდგომარეობის რამდენადმე საგრძნობ გაუმჯობესებას, ხოლო გარეპოლიტიკურში, ცხადია, პირველ ყოვლისა სადღეისოდ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ნატოში გაწევრიანებამდე, რასაც, როგორც ახლახან ჩატარებულმა პლებისციტმა დაადასტურა, ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უჭერს მხარს.

ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა, ვფიქრობთ, დაგვიდასტურა (და ეს, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდება მომავალ საპარლამენტო არჩევნებზეძ, რომ ჩვენი პრობლემების გადაჭრის „მაკრატლები“ ქვეყნის გარეთ იმყოფება. საქმე იქამდეც კია მისული, რომ მარტო საპრეზიდენტო არჩევნებზე უცხოელ დამკვირვებელთა რიცხვმა უპრეცედენტო მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, რაც ხელისუფლებასა და გაერთიანებულ თუ გაცალკევებულ ოპოზიციას შორის უნდობლობის სამწუხაროდ მაღალი კოეფიციენტის დამადასტურებელია.

თუკი ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა (და ეს, დარწმუნებულნი ვართ, ნამდვილად ასეაძ მეტწილად რუსეთზე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებზე, მართალია სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ მაინც დამოკიდებულია, მაშ რა რეალობის წინაშე დგას საქართველო „საარჩევნო“ 2008 წლის დამდეგს?

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს ამჟამად ყველაზე ძლიერი გეოპოლიტიკური პოზიციები აქვს, ვიდრე ოდესმე „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ ჰქონია, რასაც რამდენიმე ობიექტური მიზეზი აქვს. კერძოდ, **ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებამ შეძლო სამხედრო ძლიერების თანდათანობით უწინდელთან მიახლოება, რაც, პირველ ყოვლისა, ჯარის შეიარაღებათა ახალი თანამედროვე სისტემების აღჭურვაში გამოიხატება; ქვეყანამ შეძლო უზარმაზარი საგარეო ვალის ფაქტობრივად დაფარვა, რაც, უმთავრესად, ენერგოშემცველებზე მსოფლიო ბაზრებზე მაღალმა ფასმა განაპირობა და ე.წ. ნავთობდოლარების ულევი ნაკადი „ოქროს წვიმად“ გადაესხა რუსეთს; მმართველი რეჟიმი ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რამაც მას საშუალება მისცა ფაქტობრივად გაეცამტვერებინა ქვეყნის შიდა ოპოზიცია და ა.შ.**

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ამასთან, რუსეთი თავადაც დგას არანაკლებ მასშტაბური პრობლემების წინაშე. მილსადენები, რომლებიც ყაზახეთსა და თურქმენეთს ჩინეთთან დააკავშირებს (მათი მშენებლობა წლეულს დასრულდებაძ, ენერგოშემცველების მნიშვნელოვან ნაწილს მოსტაცებენ ჩრდილოეთის მარშრუტებს, რასაც რუსეთი ამჯერად სათავისოდ იყენებს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსეთის მთელი დასავლური მხარე ნატოსა და ევროკავშირს უკავია, ამიტომ რუსეთელი პოლიტიკოსების გავლენის სფეროების გაფართოებას აღმოსავლეთის მიმართულებით ცდილობენ. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ევროკავშირი აპირებს კოსოვოს სერბეთისგან გამოყოფას და ამით არაფრად აგდებს კრემლის ყველა მცდელობას შეუნარჩუნოს ეს მხარე ამ სლავურ სახელმწიფოს. არის კიდევ მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც რუსეთის ჯარსა და, ზოგადად, მის ახალ სამხედრო დოქტრინას უკავშირდება.

**ამიტომ, აღმავლობის გზაზე მდგომი ჩინეთის, ასევე ევროკავშირისა და ნატოს მუდმივი გაფართოების წინაშე მყოფმა რუსეთმა გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი პოზიციების მოსაპოვებლად აქტიური მოქმედება წელსვე უნდა დაიწყოს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2008 წელს კულმინაციას მიაღწევს რუსეთული ენერგეტიკული სექტორის რამდენიმე წლის წინათ დაწყებული კონსოლიდაცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისეთი სახელმწიფო ენერგეტიკული გიგანტები, როგორებიც არიან „როსნეფტი“ და „გაზპრომი“ – ოფიციალური შერწყმისა ანდა ალიანსების შექმნის გზით – „გადასანსლავენ“ ენერგეტიკის სფეროში ჯერ კიდევ შემორჩენილ დამოუკიდებელ კომპანიებს.** ამ მოქმედებათა მიზანია არა მარტო კრემლის კონტროლის, არამედ მოსკოვის საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე ზეგავლენის ყველაზე ძლიერი ბერკეტის გაძლიერება.

მეორე და გაცილებით მნიშვნელოვანი მომენტი ის არის, რომ **რუსეთს აუცილებლად სჭირდება დასავლეთთან კონფრონტაციის გაძლიერება, ვინაიდან მისი ძლიერება მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამერიკის შეერთებული შტატებისა კი, შედარებით, ბოლო დროის მანძილზე ყველაზე დაბალ დონეზეა. საქმე ის არის, რომ ეს ვითარება დროებითი ხასიათისაა და, სავარაუდოდ, ერაყიდან ამერიკის ჯარის გამოყვანისთანავე შეიცვლება, ამიტომ რუსეთმა ხელსაყრელი სიტუაცია ხელიდან არ უნდა გაუშვას. ექსპერტები გაურბიან სიტყვა „კონფრონტაციას“, ლაპარაკია, უბრალოდ, ინტერესთა შეჯახებაზე, რომელიც რუსეთის ძლიერებასა და დასავლეთის სისუსტეს თვალნათელს გახდის. ამ სავარაუდო დაპირისპირების რუსეთისთვის წარმატებით დასრულების შემდეგ, სპეციალტების ვარაუდით, პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში პროდასავლურად განწყობილი ძალები უნდა აიძულოს გადასინჯოს თავიანთი პოლიტიკა რუსეთის გავლენის გაძლიერების გათვალისწინებით.** მიაჩნიათ, რომ დასავლეთისთვის ასეთი გადამწყვეტი გამოწვევის გაკეთება რუსეთს მთელ რიგ რეგიონებში შეუძლია.

კერძოდ, **ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთს თავისუფლად შეუძლია საქართველოდან დე ფაქტოდ გამოყოფილი ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პირდაპირ შეერთება, რითაც ქარს გაატანს ამერიკულ მითს საქართველოს დაცვის საიმედოობის თაობაზე,** ხოლო ბელარუსთან გაერთიანების შემთხვევაში რუსეთული ჯარი კვლავ ევროპის საზღვარზე აღმოჩნდება, რაც კარდინალურად შეცვლის ევრაზიაში უსაფრთხოების ვითარებას.

და ბოლოს უკრაინა, რომლის ანტირუსულად განწყობილი პრემიერის მეცადინეობით, წლეულს სავსებით შესაძლოა 2005 წლის მდგომარეობის გამეორება, როცა „გაზპრომმა“ უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა, რამაც ძალიან უარყოფითად იმოქმედა ევროპაზე. ამდენად, ესეც დასავლეთზე ზემოქმედების მძლავრი შესაძლებლობაა.

თუმცა ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ **ამის ხელის შემშლელი გარემოებებია კლანური განხეთქილებები რუსეთის ხელმძღვანელობაში,** რაც განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სასამართლო სისტემის, აგრეთვე სამხედრო და ენერგეტიკის სფეროებში მიმდინარე გააფთრებული ბრძოლები. და კიდევ ერთი: **ჩინეთი ხელიდან აცლის რუსეთს ცენტრალურ აზიას, სადაც პეკინთან ინტეგრირებაზე ორიენტირებულ ინფრასტრუქტურას ჰქმნის.** რეგიონის უდიდესი ქვეყანა კი ყაზახეთია, რომელშიც პეკინის ზეგავლენის მნიშვნელოვანი ზრდა მეზობელ სახელმწიფოებში ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს, ხოლო ყაზახური კაპიტალი სულ უფრო მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს საქართველოში...

ასე რომ, 2008 წელი როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად, მეტად მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ევრაზიული სივრცისთვის.

**ოთარ ტურაბელიძე**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა თანხაა კანონით დაწესებული განქორწინების მოწმობის მისაღებად და რომელ მხარეს (ქალს თუ მამაკაცსძ ეკისრება მისი გადახდა?**

**მზია მაისურაძე**

**პასუხი:** კანონით თანახმად, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს თანხას 50-დან 200 ლარამდე, რომელიც უნდა გადაიხადოს ერთ-ერთმა, ან ორივე მეუღლემ ქორწინების მოწმობის გაცემისას. აქვე გაცნობებთ, რომ თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი ორივე მეუღლემ გადაიხადოს, იგი თავად განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობას.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, მოხდება თუ არა ქორწინების გაბათილება, თუ მეუღლეებმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი იმ გარემოების შესახებ, რომელსაც შეიძლება ხელი შეეშალა მათი დაქორწინებისთვის?**

**მაგდა ჯაფარიძე**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1141-ე მუხლის შესაბამისად, თუ მეუღლეებმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი იმ გარემოების შესახებ, რომელიც შემდგომში მათი ქორწინების ბათილობის საფუძველი გახდა, ქორწინება შეწყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან,



მაგრამ ამ დრომდე ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება.

* * *

**კითხვა: აუტანელი შრომის პირობებისა და შეუსაბამოდ მცირე ანაზღაურების გამო, მსურს გავთავისუფლდე სამუშაოდან. მეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა დაწესებულების ადმინისტრაციის წინაშე?**

**მარეხ ტაბუცაძე**

**პასუხი:** დიახ, გეკისრებათ. ვინაიდან, კანონის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია გააფრთხილოს დამსაქმებელი არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, თუ შრომითი ხელშეკრულების სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

* * *

**კითხვა: ჩემი დისა და სიძის ქორწინება სასამართლომ 5 წლის წინათ სცნო ბათილად. ამჟამად მათ ნამდვილად შეუყვარდათ ერთმანეთი და უნდათ დაქორწინება. აქვთ ამის უფლება?**

**ნანა რობაქიძე**

**პასუხი:** დიახ, აქვთ დაქორწინების უფლება. კანონის თანახმად, ის პირები, რომელთა ქორწინებაც გაბათილდა, შეიძლება ხელახლა დაქორწინდნენ საერთო წესით, თუ აღარ იარსებებს ის საფუძველი, რომელმაც ქორწინების გაბათილება გამოიწვია.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, ვისზე გადადის სავალდებულო წილით გათვალისწინებული ქონება, თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე უარს ამბობს სავალდებულო წილის მიღებაზე?**

**ჯონი ჯღუნიაშვილი**

**პასუხი:** უპირველესად, გაცნობებთ, რომ სავალდებულო წილის მიღება ან მის მიღებაზე უარის თქმა უნდა მოხდეს სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის თქმისათვის დადგენილ ვადაში.

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მეუღლეს შეუძლია უარი თქვას მის მიღებაზე, მაგრამ ეს გამოიწვევს სხვა თანამემკვიდრეების სავალდებულო წილის გაზრდას. მისი წილი გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

• როცა 2003 წლის ნოემბერში სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას მომხრეებმა დემონსტრაცია მოაწყვეს და პარლამენტში შემოცვივდნენ, შემეძლო ჩემი, როგორც პრეზიდენტისა და მთავარსარდლის უფლებამოსილება გამომეყენებინა. მაგრამ ამით არ მისარგებლია, რომ სისხლი არ დაღვრილიყო



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

*საქართველოს ოპოზიცია მიხეილ სააკაშვილს ყოფილი პრეზიდენტის და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ბედს უწინასწარმეტყველებს: ვადამდელ პოლიტიკურ პენსიას. 2003 წლის შემოდგომაზე შევარდნაძემ, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია და ქართველ პოლიტიკოსთა ახალი თაობის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები აღზარდა, მათგან მოულოდნელი დარტყმა მიიღო და „ვარდების რევოლუციის“ შედეგად იძულებული გახდა საქართველოს მეთაურის პოსტი დაეტოვებინა. 25 იანვარს მას 80 წელი უსრულდება. ხანდაზმულობის მიუხედავად, ცნობილი პოლიტიკოსი ცდილობს აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. **„ვრემია ნოვოსტისთვის“** მიცემულ ინტერვიუში **ედუარდ შევარდნაძემ** საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა.*

# „სააკაშვილი იმის მესამედს რომ შეჰპირებოდა, რასაც ახლა ჰპირდება“

*— 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა ცხადყო, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა. ოპოზიციურმა ძალებმა ხომ საკმაოდ მოიპოვეს ხმები. საქართველოში აქამდე ასეთი სერიოზული და ძლიერი ოპოზიცია არ ყოფილა, რომელსაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერს მხარს. ოპოზიცია არჩევნების მეორე ტურს მოითხოვს, რადგან არჩევნების შედეგებს ფალსიფიცირებულად მიიჩნევს. ხელისუფლება სააკაშვილის ინაუგურაციისათვის ემზადება. რით შეიძლება ეს დამთავრდეს?*

— მთავრობას სამოქალაქო დაპირისპირება არ სურს. ოპოზიციაც ხაზს უსვამს, რომ სამოქალაქო ომის გაჩაღებას არ დაუშვებს. იმაში, რომ ოპოზიციონერებს მიტინგების, დემონსტრაციების გამართვა, მეორე ტურისთვის ბრძოლა უნდათ, საშიში არაფერია. ეს დემოკრატიულია. ის კი ძნელი წარმოსადგენია მერე რა მოხდება, იქნება თუ არა დაპირისპირება. 2 ნოემბრიდან საქართველოში საპროტესტო გამოსვლები იყო, არა ოპოზიციის, არამედ ხალხის. მაშინ მიხეილ სააკაშვილი ხალხთან რომ გასულიყო, გულახდილად ელაპარაკა, იმის ნახევარს, თუნდაც იმის მესამედს რომ შეჰპირებოდა, რასაც ახლა ჰპირდება, დარწმუნებული ვარ ადამიანები ყოველგვარი ექსცესების გარეშე დაიშლებოდნენ. სააკაშვილის შეცდომა ის არის, რომ ამ მიტინგის მნიშვნელობა სათანადოდ ვერ შეაფასა. მიტინგში ხომ ხულიგნები, ბანდიტები ან მკვლელები არ მონაწილეობდნენ. ეს იყვნენ პატიოსანი ადამიანები, მაგრამ მშიერი და უმუშევარი. ერთადერთი რასაც ხალხი ითხოვს, ეს არის სამუშაო ადგილების შექმნა, რათა ლუკმაპურის შოვნის შესაძლებლობა მიეცეთ.

*— სააკაშვილის ადგილზე როგორ მოიქცეოდით?*

— მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. როცა 2003 წლის ნოემბერში სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას მომხრეებმა დემონსტრაცია მოაწყვეს და პარლამენტში შემოცვივდნენ, შემეძლო ჩემი, როგორც პრეზიდენტისა და მთავარსარდლის უფლებამოსილება გამომეყენებინა. მაგრამ ამით არ მისარგებლია, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. მე გადავდექი. გადავწყვიტე ახალგაზრდებისთვის დამეთმო გზა. მათ შორის კი ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე ჭკვიანი ზურაბ ჟვანია იყო, რომელიც მერე მოკლეს. უცნობია, რა ვითარებაში. ახლა განსაკუთრებით იგრძნობა მისი საჭიროება.

*— ჯერ კიდევ 2002 წელს ნატოს პარიზის სამიტზე თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველო ამ ბლოკში შესვლას ესწრაფვის. არჩევნების პარალელურად ნატოში შესვლის შესახებ გამართულ რეფერენდუმში ამას ქართველ ამომრჩეველთა 72,5 პროცენტმა დაუჭირა მხარი. რას ფიქრობთ რუსეთის აზრზე, რომელიც ნატოს გაფართოების გამო შეშფოთებულია?*

— რუსეთს თავად აქვს განსაკუთრებული ურთიერთობა ნატოსთან და ევროკავშირთან. ჩვენ ასეთი ურთიერთობა არ გვაქვს. ნატოში თუ შევალთ, მთელი დიპლომატიური ოსტატობა უნდა გამოვიყენოთ საიმისოდ, რომ რუსეთი არ განაწყენდეს, პროტესტი არ გამოხატოს. მეორე მხრივ, ჩვენ როგორც ევროპული სივრცის სახელმწიფოს, არ შეგვიძლია ნატოსა და ევროსაბჭოს იგნორირება. მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, რამდენი წელი გავა, სანამ იქ შევალთ. ამ ჩვენი არჩევნების შემდეგ ნატო ცოტა შეშფოთდა, ისევე როგორც ამერიკელები.

*— რატომ?*

— იმიტომ, რომ იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ქვეყნდება, სააკაშვილის სასარგებლოდ ბევრი დარღვევა იყო.

*— ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა საქართველოს მოქალაქეობა იმ დროს მიიღო, როცა თქვენ ედექით სათავეში ქვეყანას. მას რუსეთი ეძებდა, თქვენ კი თავშესაფარი მიეცით. დღეს მას ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებაში სდებენ ბრალს. . .*

— პატარკაციშვილი ჭკვიანი, გონიერი კაცია, ის საქართველოში დაიბადა და გაიზარდა და როცა რუსეთმა მასზე ძებნა გამოაცხადა, მე ვურჩიე თბილისში ჩამოსვლა. დიახ, მოქალაქეობა მივეცით. მილიონერი თუ მილიარდერი ის საქართველოში არ გამხდარა, ქვეყანაში ამდენი ფული არ არის. პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, სხვათა შორის, ვუთხარი, რომ პატარკაციშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. პუტინს პროტესტი არ გამოუთქვამს, თუმცა, თავიდან ეგონა, რომ საქმე ბერეზოვსკის ეხებოდა. მე ვუთხარი, რომ ბერეზოვსკის საერთოდ არ ვცნობ-მეთქი. პატარკაციშვილის საწინააღმდეგო პუტინს არაფერი ჰქონდა.

*— ბატონო ედუარდ, როგორ აღნიშნავთ თქვენს იუბილეს?*

— ხმაურიანი თავყრილობა არ მიყვარს, მით უმეტეს ჩემს დაბადების დღესთან დაკავშირებით. ამ თარიღს ყოველთვის ოჯახში აღვნიშნავდი. ახლაც ასე იქნება. შვილებმა დიდი რესტორნის დაქირავება შემომთავაზეს. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ან ჩემს მშობლიურ სოფელ მამათში წავალ, სადაც ჩემი მშობლებისა და უფროსი ძმის საფლავებია, ან აქ, თბილისის სამთავრობო რეზიდენციაში აღვნიშნავ, სადაც ვცხოვრობ.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# ქართული ღვინის სავარაუდო დაბრუნება

ორშაბათს საქართველოს ღვინის მწარმოებელთა კავშირმა რუსეთის მთავარ სანეპიდზედამხედველს გენადი ონიშჩენკოს წერილი გაუგზავნა. მიმართვაში მეღვინეები აცხადებენ, რომ მზად არიან რუსეთის მხარესთან ითანამშრომლონ რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად. საქართველოს ღვინის მწარმოებელთა კავშირის თავმჯდომარემ ლევან კობერიძემ „ნეზავისიმაია გაზეტას“ განუცხადა, რომ რუსეთში ექსპორტის განახლების რეალური იმედი მას შემდეგ გაჩნდა, რაც რადიოსადგურ „ექო მოსკვიში“ გაისმა გენადი ონიშჩენკოს განცხადება თბილისთან მოლაპარაკებისათვის მზადყოფნის თაობაზე. „გაგზავნილ წერილში ჩვენი მოსაზრებები ჩამოვაყალიბეთ. მზად ვართ მივიღოთ რუსეთის წარმომადგენლები, ჩვენი ღვინის ქარხნები მათთვის ღიაა, ადგილზე შეუძლიათ შეისწავლონ პირობები, გაეცნონ პროდუქციის ხარისხს“, - თქვა კობერიძემ.



რუსეთ-საქართველოს პირველი შეხვედრა შეიძლება უკვე იანვარში გაიმართოს. ვარაუდობენ, რომ ამ შეხვედრაზე შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, შედგება პირველ რიგში გადასაწყვეტ საკვანძო საკითხთა ნუსხა, რის შემდეგაც, ალბათ, რუსეთში საქართველოს პროდუქციის დაბრუნების დეტალური გეგმა შემუშავდება.

„უკვე გვაქვს კონკრეტული წინადადებანი მეღვინეობის დარგში გამოსაყენებელი პესტიციდების შემოტანის, ბრუნვისა და შენახვის რეგისტრაციის სისტემასთან დაკავშირებით. მზად ვართ რუსეთის სახელმწიფო კონტროლის ორგანოების წარმომადგენლებს დამკვირვებლების სტატუსი მივანიჭოთ, რთველში მივიწვიოთ მონიტორინგისათვის. შეგვიძლია ერთად დავადგინოთ რუსეთში შესატანი ქართული ღვინოების მუდმივი ლაბორატორიული კონტროლი, შევიმუშაოთ ექსპორტის ხარისხისადმი კონტროლის პროცესის სრულყოფის მიზნით რუსეთის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტების გრაფიკი“, — თქვა ლევან კობერიძემ.

რუსეთში ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის განახლების პრობლემა ამასწინათ საქართველოს მთავრობის სხდომაზეც განიხილეს. კერძოდ, გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ სოფლის მეურნეობის მინისტრს პეტრე ცისკარიშვილს დაავალა მოამზადოს პირობები რუსეთის მხარესთან მოლაპარაკებისთვის, რათა რუსეთში პროდუქციის ექსპორტის განახლება საქართველოსთვის მისაღებ რეჟიმში მოხდეს.

როგორც ლევან კობერიძემ „ნეზავისიმაია გაზეტას“ უთხრა, რუსეთის მხარესთან შედეგიანი დიალოგის შემთხვევაშიც უამრავი სირთულე იქნება. ერთ-ერთი ასეთი სირთულე ის არის, რომ ქართული პროდუქციის აკრძალვის შემდეგ რუსეთის ბაზრის ალკოჰოლის სეგმენტი იაფმა ლათინურამერიკულმა, აფრიკულმა სასმელებმა დაიკავა.

„ნეზავისიმაია გაზეტას“ კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ რუსეთის მხარის ინტერესი მხოლოდ რუსული კაპიტალის ღვინის ქარხნების პროდუქციით შემოიფარგლოს, საქართველოს ღვინის მწარმოებელთა კავშირის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რუსეთის მხრიდან საკითხის ამგვარად დაყენება უსამართლო და არასასურველი იქნებოდა.

იური როქსი

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

№ 8. ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2008 წელი.

● ანალიტიკოსები ვაშინგტონის ორმაგ სტანდარტებზე ალაპარაკდნენ. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს ბედს, ხშირად, დიდ სახელმწიფოთა მეთაურები კი არა, რიგითი მოხელეები წყვეტენ



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართველები შეერთებულ შტატებზე განაწყენდნენ

თბილისში გაიხსნა „მეთიუ ბრაიზას სახელობის ქართულ-ამერიკული მუზეუმი“. ამ ექსპოზიციას ტყუილად როდი უწოდეს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის სახელი. აქ გამოფენილია ასობით ფალსიფიცირებული საარჩევნო ოქმი და ბიულეტენი, რომელთა დახმარებითაც მიხეილ სააკაშვილი ისევ გახდა პრეზიდენტი. „ვარდების რევოლუციის“ ბელადის გამარჯვება, ბუნებრივია, გამოიწვევდა ბრაიზას აღფრთოვანებას, რომელმაც მკაცრად გააფრთხილა ოპოზიცია, გულშიც არ გაივლოთ არადემოკრატიული მოქმედებაო.

გამოფენა მაშინ გაიხსნა, როცა სააკაშვილი თავის მომხრეებს მადლობას უხდიდა ტელეკომპანია Al Jazeera-ს ეთერში. იდეა, ყველასთვის ეჩვენებინათ, თუ როგორ აყალბებს არჩევნებს პრეზიდენტის გუნდი, ოპოზიციას ... ნაგავსაყრელზე გაუჩნდა. სწორედ იქ იპოვეს ბიულეტენებისა და საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმების დასტები. ცესკოდან ისინი ნაგვის მანქანებით გამოიტანეს. ცესკოს სიმბოლიკიანი ექვსი კონვერტი საერთოდ არავის გაუხსნია. „ჩვენ 600-700 ასეთი ოქმი გვაქვს. ახლა ხომ ხედავთ, როგორ გაიმარჯვა სააკაშვილმა!“- აღშფოთებული არიან ოპოზიციონერები. — 200 ათასი ხმა გავასაჩივრეთ. რეალურად სააკაშვილმა ხმების მხოლოდ 37 პროცენტი მოაგროვა, — ამბობს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური. — აშშ და ევროპის სახელმწიფოები, ცდილობენ რა თავს მოახვიონ საქართველოს სააკაშვილი, უპირისპირდებიან იმ 970 ათას ამომრჩეველს, რომლებმაც ჩვენ დაგვიჭირეს მხარი“. არც ამერიკელი დიპლომატები, არც ეუთოს და ევროსაბჭოს დამკვირვებლები გამოფენის სანახავად ჯერ არ მისულან. ისედაც მძიმე დღეში არიან. სააკაშვილისადმი აშკარა მხარდაჭერამ და არჩევნების „დემოკრატიულობის“ ნაჩქარევად აღიარებამ ქვეყანაში ძლიერი ანტიამერიკული განწყობა გამოიწვია. ემოციური ქართველები აღშფოთდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, სააკაშვილის მაჩვენებლები სადღეისოდ ფანტასტიკურ 53 პროცენტამდე და მეტად გაზარდა, ამასთან ლამის 10 პუნქტით გაზარდა ნატოში შესვლის მსურველთა რაოდენობა, ანუ 72,5 პროცენტამდე.

საერთოდ „ცივილიზებული სამყაროს“ უანგარო მეგობრობის და „პროგრესული საქართველოს“ შესახებ მითიდან მხოლოდ მოგონებაღა დარჩა. „დასავლეთისათვის საქართველო ველურებით დასახლებულ ტერიტორიად რჩება“, - წერს თბილისის ერთ-ერთი გაზეთი. რიგითი ამომრჩევლებიც არ ერიდებიან ამერიკის ლანძღვა-გინებას. განსაკუთრებული სიამოვნებით აკეთებენ ამას ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩაზე, როცა თეთრი სახლის მეპატრონისგამოსახულებიან უზარმაზარ ბილბორდს ხედავენ.

ბევრად თავშეკავებულად იქცევიან პოლიტიკოსები. თუმცა ბოღმა ახრჩობთ, მაგრამ პოტენციურ პარტნიორებთან ურთიერთობის გაწყვეტა არ უნდათ. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებთან შეხვედრისას დასავლელმა ელჩებმა აღიარეს: სააკაშვილს დაქვემდებარებული ტელეარხები იტყუებიან, როცა ევროპის სახელმწიფოების ლიდერთა მისალოც დეპეშებზე იტყობინებიან. ერთადერთი გამონაკლისი იულია ტიმოშენკოა. დანარჩენებმა თუ მიულოცეს სააკაშვილს, მხოლოდ ახალი წელი. უდიდესი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დემონსტრაციულად დატოვეს ეუთოსა და ევროსაბჭოს პრესკონფერენცია, რომლის დროსაც ამერიკელმა კონგრესმენმა ელსი ჰასტინგსმა განაცხადა: „საქართველოს დემოკრატია ზეიმობს“. ოპოზიციონერები აღშფოთებული არიან იმით, რომ ეუთოს დამკვირვებლებს სწორედ ეს აფრიკული წარმოშობის ამერიკელი მეთაურობს. არა კანის ფერის გამო, რასაკვირველია. ფლორიდის შტატში ფედერალურ მოსამართლედ ყოფნისას მას იმპიჩმენტი გამოუცხადეს მექრთამეობისა და სიყალბისათვის.

ანალიტიკოსები ვაშინგტონის ორმაგ სტანდარტებზე ალაპარაკდნენ. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს ბედს, ხშირად, დიდ სახელმწიფოთა მეთაურები კი არა, რიგითი მოხელეები წყვეტენ — ბრაიზა ამერიკული დემოკრატიის სიმბოლო კი არა, ჩვეულებრივი კლერკია, რომელსაც თავისი კარიერა ადარდებს, — დარწმუნებულია პოლიტოლოგი იოსებ ცისკარიშვილი. — ჩემი ვაშინგტონელი მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ ინფორმაცია თეთრ სახლს მხოლოდ მას შემდეგ მიაწოდეს, რაც ბრაიზას ცენზურა გაიარაო.

განსაკუთრებით დიდი სკანდალი ატყდა დიტერ ბოდენთან დაკავშირებით. ის ერთადერთი დიპლომატია, რომელსაც პრაქტიკულად ყველა ქართველი პოლიტიკოსი ენდობა. გაზეთ Frankfurter rudschau-ს კორესპონდენტისათვის ინტერვიუს მიცემის შემდეგ, სადაც მან გულახდილად ილაპარაკა არჩევნების დროს დაშვებულ დარღვევებზე, ის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და ახსნა-განმარტებები მოსთხოვეს. ბოდენი ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. Frankfurter rudschau-მ ამასობაში კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა და პირდაპირ განაცხადა, რომ არჩევნების შედეგები გაყალბებულია, „დამკვირვებლებმა კი აშკარა დისკრედიტაცია განიცადეს“.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ

# ცხინვალის აღება სხვისი ხელით აქვთ გადაწყვეტილი

დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური განცხადებები და რეალობა ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მასალებითაა წარმოდგენილი. სანამ ეუთოსა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების დამკვირვებლები ბუნდოვნად აცნობებდნენ საზოგადოებას საარჩევნო უბნებში მაქინაციებისა და გაყალბების შესახებ, ხოლო ოპოზიცია, როგორც წესი, მიტინგებს მართავდა, მიხეილ სააკაშვილი გამარჯვებას ზეიმობდა და ინაუგურაციის ვადაც დანიშნა.

მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დაიწყებს საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრას, რომლებზეც პირველი საპრეზიდენტო ვადა არ ეყო. კერძოდ კი სიღარიბესთან ბრძოლას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებას. გამარჯვების მოზეიმე პრეზიდენტმა თითქოს მშვიდობის ნობელის პრემიის მოპოვება მოინდომაო, რიტორიკული კითხვა დასვა და თავადვე უპასუხა. „ძალოვანი ვარიანტი ვის წინააღმდეგ? ხუთი-ექვსი ათასი ოსის წინააღმდეგ, რომლებიც ცხინვალში ცხოვრობენ და ჩვენი მოქალაქეები არიან? თუ 35-40 ათასი აფხაზის წინააღმდეგ, რომლებსაც თავად არავითარი სამხედრო ძალა არ გააჩნიათ? უბრალოდ უნდა მოვნახოთ ურთიერთმისაღები პოლიტიკური გადაწყვეტა, საერთო ენა გამოვნახოთ რუსეთთან იმიტომ, რომ აქ მთავარი მოქმედი პირი რუსეთია“.

მაგრამ არსებობს დიდი ალბათობა, რომ „საერთო ენის გამონახვა“ დეკლარაციად დარჩება. ძალოვან სტრუქტურებში წყაროებიდან „უტრომ“ შეიტყო, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ სამხრეთ ოსეთში მოქმედების ახალ გეგმაზე შეაჩერა არჩევანი. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, ეს ვარიანტი ითვალისწინებს სამხრეთ ოსეთის გეოგრაფიულ თავისებურებებს, უმთავრესად კი მისი დედაქალაქის არახელსაყრელ მდებარეობასა და იმას, რომ რესპუბლიკა დამოკიდებულია საკვანძო ტრასაზე — ტრანსკამზე და როკის გვირაბზე. მთელი ოპერაცია ორი ეტაპისგან შედგება. პირველი გულისხმობს ცხინვალში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული დივერსანტების შეგზავნას, ამ ავტონომიურმა ჯგუფებმა უნდა განახორციელონ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება ან ლიკვიდაცია. ცხინვალში სპეცრაზმის ლოკალურ მოქმედებას იმ მიზნით, რომ სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურების მართვის დეზორგანიზაცია მოახდინონ, გარედან მხარს დაუჭერენ ჯარები საქართველოს გორისა და ონის რაიონებიდან. იმავდროულად საქართველოს სამხედროებს დაგეგმილი აქვთ იერიში როკის გვირაბზე, რათა სამხრეთ ოსეთი მოწყვიტონ რუსეთს. ამის შემდეგ დაიწყება მეორე ეტაპი — საკუთრივ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელში ჩაგდების ოპერაცია.




ეს გეგმა ამერიკელმა სამხედრო მრჩევლებმა მოამზადეს, კერძოდ Millitary Professional Resources Inc. (MPRI)-ს წარმომადგენლებმა. უფრო მეტიც, არსებობს მონაცემები, რომ ამ ორგანიზაციის გადამდგარი სამხედრო მოსამსახურეები შეყვანილი არიან ცხინვალში სამოქმედოდ გათვალისწინებული ჯგუფების შემადგენლობაში. MPRI, რომელსაც „კერძო არმიას“ უწოდებენ, 1987 წელს შეიქმნა. მის შტატში შეერთებული შტატების საიდუმლო ქვედანაყოფების ათასზე მეტი პროფესიონალი სამხედრო და თანამშრომელია. ცხელ წერტილებში სამოქმედო ნებართვას პენტაგონი გასცემს. ეს ორგანიზაცია დაფიქსირებულია ანგოლაში, სიერა-ლეონეში, ნიგერიაში, ეკვატორულ გვინეაში, ერაყსა და ყირგიზეთში. იუგოსლავიაში კონფლიქტის დროს ორგანიზაციის თანამშრომლები საბრძოლო მოქმედებაში კონფლიქტის ყველა მონაწილის, მათ შორის სერბების მხარეზეც მონაწილეობდნენ.

ძირითად იმედს იმაზე ამყარებენ, რომ საქართველოს ძალებს დიდი უპირატესობა აქვთ ცოცხალი ძალის, არტილერიისა და ჯავშანტექნიკის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ისინი კარგად არიან მომზადებულნი იგივე ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ. ანალიტიკოსების აზრით, ცხინვალში ოპერაციის მოწყობა სავარაუდოა კოსოვოს დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარების მომენტიდან. დივერსიული ჯგუფების მოქმედებისათვის ხელსაყრელი დროა უახლოესი რამდენიმე თვე, როცა რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის კავშირი ტრანსკამზე ხშირი ზვავების გამო დარღვეული იქნება.

სავარაუდო მოვლენათა განვითარების კომენტარი „უტრომ“ სთხოვა ავღანეთსა და ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედების მონაწილეს, 45-ე სადაზვერვო პოლკის ფსიქოლოგიურ ოპერაციათა რაზმის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს. „გეგმა აქტუალურია, თუმცა თავისი ნაკლი და თავისებურება აქვს. ცხინვალში უცხოელთა დიდი რაოდენობის გამოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩება, ამიტომ გამოყენებული იქნება შენიღბვის ვარიანტები (ჟურნალისტები, საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები და ა.შ.ძ. შესაძლოა სამხრეთ ოსეთის მთავრობას შესთავაზონ რომელიმე საბადოს დამუშავების კონტაქტი იმის იმედით, რომ ოსები ამას ეკონომიკური ბლოკადის გარღვევად აღიქვამენ. ამისათვის საჭირო იქნება პერსონალი. აქციას, ალბათ, დღესასწაულთან დააკავშირებენ ან რაიმე ღონისძიებასთან. პლაცდარმად შეიძლება გამოიყენონ ქართული ანკლავის სოფლები ცხინვალის ჩრდილოეთით. ოპერაციამდე ჯგუფები სადმე ახლოს უნდა იმყოფებოდნენ, რათა ადგილმდებარეობას შეეგუონ. სამხრეთ ოსეთის საკვანძო ობიექტებზე თავდასხმის პასუხად რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა შეიძლება სამთო ბრიგადების დესანტი გადასხან. თუ ოსები წინააღმდეგობის ნებას გამოხატავენ, თუნდაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ნაწილი დაიღუპოს, ბრძოლაში ახალი ძალები ჩაერთვებიან და საქართველოს ქვედანაყოფებს აღარ ექნებათ შანსი გაუძლონ პარტიზანულ ომს. ქართველ ჯარისკაცებს არ აქვთ სამხრეთ ოსეთში ბრძოლისა და დაღუპვის სურვილი“, — მიაჩნია ჩვენს თანამოსაუბრეს.

სამხედრო ოპერაციის მომზადება სადაზვერვო-დივერსიულ მეთოდებთან ერთად რეგიონს კარგ არაფერს უქადის. სწრაფი გამარჯვების მოლოდინს მალე კუზოები მოჰყვება, ხოლო პარტიზანული ომი საბოლოოდ გააქარწყლებს საქართველოში რაიმე სტაბილურობის ილუზიებს.

**ოლეგ პეტროვსკი**

Утро.ru

# წარსული

შაჰ-აბასი გაცოფდა, საგანგებოდ მოემზადა და 1616 წლის გაზაფხულზე დიდძალი ლაშქრის შემოესია კახეთს. ბრძოლამ ერთი წელი გასტანა, როგორც საქართველოს ისტორიის პირველ გამოცემაშია ნათქვამი, ყოველი ციხე, ყოველი ეკლესია-მონასტერი, სასახლე, ტყე თუ ხევი მტერს ომით უნდა აეღო.
სწორედ ამის შემდეგ დაუდგა საქართველოს „შავი დრო“

№ 8. ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2008 წელი.

**სიმართლე კი ასეთია**

# რუსეთს თავისი ცოდვაც ეყოფა...

## მცირე შენიშვნა გ. ყორანაშვილის ერთ სტატიასთან დაკავშირებით

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2007 წლის 25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ გურამ ყორანაშვილის სტატია „ქართველი ბაგრატიონობა სულაც არ იყო იდეალური სამეფო დინასტია. მონარქია თუ რესპუბლიკა“.**

დასაწყისშივე უნდა განვაცხადო, რომ თქვენს მონა-მორჩილს არც ბაგრატიონთა დინასტიის განსჯა-განკითხვის და არც ჩვენი დამოუკიდებლობის უკანასკნელი ორი საუკუნის შეფასების იოტისოდენა პრეტენზიაც კი არ აქვს. მე არც მონარქისტი და არც სხვა „ისტი“ არ გახლავართ. მხოლოდ ის კი უნდა ვთქვა, რომ ბაგრატიონთა დინასტიის ასეთი მკაცრი შეფასებისთვის სტატიაში მოტანილი მაგალითი მეტი რომ არა, წარუმატებლად მიმაჩნია. ჩემი მიზანიც სწორედ ის არის, რომ მიუხედავად სტატიის ავტორისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, პირდაპირ ვუთხრა მას, რომ რუსეთისადმი დამოკიდებულება-განწყობაში საქართველოს სააკაშვილისეულ ხელისუფლებას ბრალდების ხელოვნურად შეთხზვა თუ გამოგონება არ სჭირდება. ამიტომაც გადავწყვიტე გამოვთქვა მოკრძალებული შენიშვნა ირანის სისხლისმსმელი მმართველის შაჰ-აბასის 1610-იან წლებში საქართველოზე შემოსევების **მიზეზისა და საბაბის** ყორანაშვილისეული გააზრების თაობაზე.

კერძოდ, ბატონი გურამ ყორანაშვილი ამ შემოსევათა მიზეზ-საბაბს რუსეთს უკავშირებს. კიდევ ერთხელ ვნახოთ რას ვკითხულობთ სტატიაში. **„არ ვუფიქრდებით იმას, თუ რა იყო 1610-იანი წლების კახეთის ტრაგედიის მიზეზი. იგი ოდენ შაჰ-აბას პირველის ვერაგულ ხასიათში როდი მდგომარეობს. შეგახსენებთ, რომ როცა რუსეთმა დაიპყრო ასტრახანის სახანო** (სხვათაშორის, ეს მოხდა 1556 წელს, – გ.მ. ქართ.საბჭ.ენციკლ. ტ. პირველი, გვ. 645ძ **და თერგს** (როგორც საზღვარსძ **მოადგა, კახეთის ბაგრატიონებს დიდი ცდუნება გაუჩნდათ. მათ იფიქრეს, რომ სანუკვარი საშველი უკვე დაუდგათ და ახალი** (ალბათ უნდა იყოს „ახლა“, – გ.მ.ძ **ჩრდილოელი მეზობელი ალაგმავდა ერანისა და ოსმალეთის ჩვენზე მძლავრობას... როგორც კი ერანი შიდაპოლიტიკური კრიზისიდან გამოვიდა, მან შურისძიება არ დააყოვნა“.**

ბუნებრივია, ისმის კითხვა: შურისძიება რისთვის? იმიტომ რომ რუსეთმა ასტრახანის სახანო დაიპყრო და თერგს (როგორც საზღვარსძ მოადგა? თუ კახეთის ბაგრატიონებს დიდი ცდუნება გაუჩნდათ, ახლა ჩრდილოელ მეზობლებს დაკავშირებოდნენ?

მივადექით ადგილს, სადაც, როგორც იტყვიან, „ძაღლის თავია დამარხული“. სინამდვილეში კახელ ბაგრატიონებს ხომ პრაქტიკულად ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ რუსეთთან დაკავშირებისთვის და დახმარების მისაღებად.

სწორედ ეს განუხორციელებელი ჩანაფიქრი მიაჩნია პატივცემულ ისტორიკოსს შაჰ-აბასის შურისგების მიზეზად.

ჩემი მოსაზრებით, რუსეთი საქართველოს მაჰმადიანური მეზობლების – ირანისა და ოსმალეთის გაღიზიანების მუდმივმოქმედი ფაქტორი იყო.

ჩემს მოსაზრებას წარმოგიდგენთ არა როგორც ისტორიკოსი, არამედ როგორც ისტორიის მოყვარული, რომელსაც სხვადასხვა დროს შეხება ჰქონდა შაჰ-აბასის მიერ ზემონახსენები შემოსევების დროს კახეთის აოხრების, დიდძალი ქართველი მოსახლეობის იძულებით ირანში გადასახლების ტრაგიკულ თემასთან. ახლა ხელმეორედ გავეცანი თემასთან დაკავშირებით არაერთ წყაროს და ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ კახეთის ამ „შავ დროს“ აბსოლუტურად უმრავლესი მათგანი რუსეთთან დაკავშირებულ კონკრეტულ ეპიზოდს, ვიმეორებ, კონკრეტულ ეპიზოდს, არ უკავშირებს (საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები დაწყებული პირველი გამოცემიდან ნ.ბერძენიშვილის, ივ.ჯავახიშვილის, ს.ჯანაშიას ავტორობით სხვა გამოცემების ჩათვლით, აგრეთვე ლ.სანიკიძის „ღვთისმშობლის წილხვდომი ქვეყანა“ და მრავალი სხვა.ძ. მხოლოდ გ.ჭიპაშვილი („ფერეიდნელი ქართველები“ძ და გ.ჯამბურია („შაჰ-აბასის შემოსევები საქართველოში“ძ გაკვრით და ისიც **ზოგადად** ეხებიან რუსეთის თემას კახეთში შაჰ-აბასის მიერ 1610-იან წლებში შემოსევებში. საერთოდ, როგორც აღნიშნულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. პირველი, გვ.14ძ შაჰ-აბასის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საქართველოს საკითხს. კერძოდ, ამიერკავკასიაში ბატონობის უზრუნველსაყოფად მას აუცილებლობად მიაჩნდა. ქართლ-კახეთის ქრისტიანული სამეფოების ყიზილბაშურ-მაჰმადიანურ სახანოებად გადაქცევა. ამდენად, მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ირან-ოსმალეთის 1555 წლის 29 მაისს ოსმალეთის ქალაქ ამასიაში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ირანმა სცნო ოსმალეთის უზენაესი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთმა ირანისა აღმოსავლეთ საქართველოზე.

გავიდა ხანი და 1603 წელს შაჰ-აბასმა დაარღვია ზავი ოსმალეთთან და შეუდგა ოსმალების განდევნას აღმოსავლეთ კავკასიიდან, მათ შორის საქართველოდან. 1606 წლის ზაფხულში შაჰ-აბასი პირველი ქართლში შეიჭრა, რის შემდეგადაც ქართლიცა და კახეთიც ირანის ვასალები გახდნენ, თუმცა ესე არ აკმაყოფილებდა ირანის მმართველს. მას ისევ წამოუარა ქართლ-კახეთში ლაშქრობის ჟინმა და 1613 წლის ოქტომბერში შეუდგა ჩანაფიქრის განხორციელებას. ირანის დიდი ლაშქარი ისპაჰანიდან საქართველოსკენ დაიძრა. თან ხმებსავრცელებდა, თითქოს ოსმალეთზე გალაშქრებას აპირებდა და კახეთის მეფე თეიმურაზს ერთგულების საგარანტიოდ მძევლები მოსთხოვა. ირანის ვერაგი მმართველი ორმაგ თამაშს თამაშობდა – ოსმალეთს შეუთვალა ქართლ-კახეთის დასჯას ვაპირებო.

შაჰ-აბასმა ალავერდის ეკლესია-გალავანი ციხე-სიმაგრედ აქცია და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა. კახეთის მმართველად თეიმურაზის ბიძაშვილი ესე გიორგის ძე დანიშნა, რომელიც სპარსეთში იზრდებოდა და ისპახანად მოევლინა კახეთს. მის ვექილებად, ანუ მეთვალყურე მრჩევლებად ადგილობრივი თავადები დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე დაინიშნენ. როგორც ნ.სანიკიძე წერს, კახელები ჯანყისთვის იყვნენ ალესილნი. ალავერდობის დღესასწაულზე ეკლესიას ხალხი მიაყენა დავით ჯანდიერმა. მეციხოვნენი თავად ჯანდიერს ენდნენ და გალავნის კარი გააღეს. კახელები ტაძარში შევიდნენ, ილოცეს, ტაძრიდან გამოვიდნენ... ხმლები იშიშვლეს და ყიზილბაშებს დაერივნენ.

შაჰ-აბასი შეშფოთდა, სასწრაფოდ გაგზავნა სარდალი ალი-ყული-ხანი 15.000 მეომრით. თეიმურაზ მეფემ მორჩილების სიტყვებით სპარსელი სარდლის ყურადღება მოადუნა, ქართველმა მეგზურებმაც არასწორი ცნობები მიაწოდეს ყიზილბაშებს კახთა ლაშქრის მოძრაობის თაობაზე. ყოველივე ამის ისარგებლა თეიმურაზ მეფემ და 6.000 კაცით მოულოდნელად თავს დაესხა ყიზილბაშთა 15000-იან რაზმს, სასტიკად დაამარცხა და უკუაქცია იგი.

შაჰ-აბასი გაცოფდა, საგანგებოდ მოემზადა და 1616 წლის გაზაფხულზე დიდძალი ლაშქრის შემოესია კახეთს. ბრძოლამ ერთი წელი გასტანა, როგორც საქართველოს ისტორიის პირველ გამოცემაშია ნათქვამი, ყოველი ციხე, ყოველი ეკლესია-მონასტერი, სასახლე, ტყე თუ ხევი მტერს ომით უნდა აეღო.

სწორედ ამის შემდეგ დაუდგა საქართველოს „შავი დრო“. ზ. შარაშენიძეს მოჰყავს სპარსელი ისტორიკოსის სიტყვები: „რაც ხოცვა და რბევა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება, რაც კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდა, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დღიდან აქამდე“. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, ამ უკანასწორო ბრძოლაში ასი ათასი კახელი მტერს შეაკვდა, 130 ათასამდე ტყვედ იქნა გარეკილი სპარსეთში, შაჰმა ბრძანება გასცა, სოფლები და ქალაქები, ეკლესია-მონასტრები დაენგრიათ, მთელს კახეთში დაეჭრათ ვაზი, თუთისა და კაკლის ხეები. კახეთში მოსახლეობის ერთი მესამედი თუ გადარჩა, რომლებმაც ტყეებსა და ჯაგებს შეაფარეს თავი.

ასე გაჩნდა სპარსეთში **ფერეიდანი** – საქართველოსა და ქართველთა ორთხსაუკუნოვანი სატკივარი.

* * *

**ყველაფერი გასაგები გახდება, თუ მოვიშველიებთ ამონარიდს ბატონ გურამ ყორანაშვილისავე ნაშრომიდან „პროფესია – ისტორიკოსი“ (თბ. 1986 წძ: ერთ-ერთი ფილოსოფიური სკოლის – პრაგმატიზმის მიმდევარი ისტორიკოსების მიხედვით... წარსულის შესწავლა ხდება მასზე აწმყოს სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. ინტერესების (ხაზი ჩვენია, – გ.მ.ძ გადატანით... იმისდა მიხედვით, თუ რა აწყობს ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფს, პოლიტიკურ პარტიას აწმყოში, ხდება წარსულის ასეთივე გაგება, მოვლენების შესაფერისი შეფასება (ხაზი ჩვენია, – გ.მ.ძ.**

**ბაგრატიონებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ისტორიკოსი ვერ ასცდა ცდუნებას, პრაქტიკაში გამოეყენებინა საკუთარი თეზა საკუთარივე ნაშრომიდან.**

**გიორგი მახარაძე,**
*ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.*



**რარიტეტი**

# ჭიქა, რომლითაც სტალინი საქართველოს სადღეგრძელოს სვამდა

**ერთი საუკუნის წინათ, სოფელ ნაგომარში იარმარკაზე ზემო ფარცხმელმა გლეხმა ალექსანდრე ცინცაძემ ღია შინდისფერი ჭიქა შეიძინა. შინ რომ დაბრუნდა, ჯალაბობას ასე უთხრა: ამ ჭიქით ღვინო პირველად უცხო სტუმარს დაალევინეთო. რა იცოდა მაშინ მოხუცმა ალექსანდრე ცინცაძემ, თუ ის უცხო სტუმარი სულ მალე იოსებ სტალინი იქნებოდა.**

1950 წლის გიორგობისთვეა. სოფელ ზემო ფარცხმაში სეფე ცინცაძეს ბათუმიდან ეწვია ახლობელი ესე ცინცაძე, რომელსაც თან ახლდა 26 წლის იოსებ სტალინი. ეს დიდი პიროვნება სეფე ცინცაძის ოჯახში მაშინ 12 დღე და ღამე ცხოვრობდა. აქედან დადიოდა ის და სათანადო აგიტაციას ეწეოდა სოფლებში: შუა ფარცხმაში, დაბლა ციხეში, ვაზიანში, ხიდისთავში, ინტაბუეთშიდა სხვაგან. საპატიო სტუმარს მუდამ გვერდს უმშვენებდნენ: სეფე ცინცაძე, შერმადინი, კოსტა, ლადიმე და ასალო ცინცაძეები. დიდი ხნის შემდეგ ოჯახის დიასახლისი ელისაბედა შაფათავა-ცინცაძისა მოიგონებდა, რომ მისი სტუმარი იყო მშვიდი და წყნარი კაცი. ღამე ძირითადად არ ეძინა, წიგნებს კითხულობდა ან წერდა. საწოლთან მუდამ ენთო ნავთის ლამპა, იქვე ედგა დოქით საცივიდან (გულურები ასე წყაროს ეძახიანძ საგანგებოდ მოტანილი წყალი და სამტვრევი შაქარი. საღამოობით ვახშამზე რომ შეიკრიბებოდნენ, ჯერ ამ ჭიქით ღმერთს დალოცავდნენ და მომდევნო სადღეგრძელოებს სხვა ჭიქებით სვამდნენო. როგორც ღრმად მოხუცი ელისაბედი იგონებს, სტალინს ძალიან მოსწონდა ცხელ ღადარში გამომცხვარი კვერი, ქვის კეცის ხაჭაპური და ცხელი ჭადი.: დასაყოლებლად ჩხავრის ღვინოსა და სანთლის არაყს არჩევდაო. სუფრასთან სტალინი ყოფილა არაჩვეულებრივად ოხუნჯი და მომლხენი. ისე კარგად შეითვისა ჩვენებური სიმღერები და ხინწკალა და ადილა ბევრ ჩვენებურ „კაძახს“ ჯობნიდაო.

როგორც ჩანს, იოსებ სტალინს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა გურიისა და გურულებისადმი სითბო და სიყვარული. აი რას წერს ამის შესახებ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც იოსებ სტალინს შეხვდა 1945 წლის ქრისტეშობისთვეში, შავი ზღვის სანაპიროზე, სოჭის მახლობლად კურორტ მაცესტაში. „აინტერესებს ამხანაგ სტალინს სიმღერა. მოსწონს განსაკუთრებით გურული სიმღერა. აღნიშნავს, რომ ვარლამ სიმონიშვილი გურული სიმღერის კარგი მცოდნეაო. სტალინი აღნიშნავს გურული გლეხების გულწრფელობას, იგონებს ნოე ჟორდანიას: „ნოე პეტრეს“, „ნოე – ხუნხუზას“, ბენია ჩხიკვიშვილს და არსენიძეს. იგონებს კამათს ხელფეხიან მუხასთან ჯვარცმაში და ჩოხატაურში. იგონებს თაგუნას (შალვა შარაშიძესძ, მას ნიჭიერ კაცად სთვლის. სტალინს უთქვამს, ჩხავერი გურულების გამოყვანილი ვაზის ჯიშიაო. ალბათ, ამიტომ იყო ცნობილმა სამეურნეო მუშაკმა შოთა ჭანუყვაძემ, მე-20 საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში სწავლულ აგრონომს გალაქტიონ ცინცაძეს სოფელ საჭამიასერში ჩხა-



ვერის საკმაოდ დიდი მეურნეობა რომ გააშენებინა, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე არსებობდა ჩხავერის მეურნეობა და უმაღლესი ხარისხის ღვინოს აყენებდნენ. საუკუნის მიწურულს საჭამიასერელებმა საუკუნის ცოდვა ჩადინიეს, როცა ნაჯახით ათეულობით ჰექტარი ჩხავერის ვენახი აჩეხეს. უპატიებელი შეცდომაა. სირცხვილი მათ. ახლა ხშირად ტელევიზორით ვისმენთ: სოფელ საჭამიასერში ეკლესია შენდება და შეეწიეთო. ძალიან მიკვირს, ვენახის ნაჯახით ამკაფავმა ხალხმა მოინდომა მისი აგება, თუ რაშია საქმე? გაგვაგებინეთ და აგვიხსენით!

**დურმიშხან ცინცაძე**

● საფეხბურთო სკოლა „გელათი-2006“ მისი დირექტორისა და მწვრთნელის, წარსულში ცნობილი მსაჯის ტრისტან ნიშნიანიძის პირმშო გახლავთ. იგი ტყავის ბურთის მომავალ ოსტატებს სოფელ კრწანისის სტადიონზე აშალაშინებს, რომელიც მალე, ვიმედოვნებთ, კიდევ უფრო დამშვენდება და კეთილმოეწყობა



ორბიტაზე

## დევენპორტის ფინანსური რეკორდი



**ამერიკელმა ჩოგბურთელმა ლინდსეი დევენპორტმა, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის პირველ წრეში რომ გაიმარჯვა, „დაამხო“ გერმანელი შტეფი გრაფის ფინანსური რეკორდი. მელბურნის კორტზე ლინდსეიმ 25 ათასი დოლარი გაინაღდა და ახლა მის ანგარიშზეა 21 მილიონ 897 ათას 501 დოლარი. გრაფს კი კარიერაში მასზე 2224 დოლარით ნაკლები აქვს მოხვეჭილი.**

„არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემს კარიერაში ასეთი მომენტი დადგებოდა. იმ 15 წლის განმავლობაში, ქალთა ტურნირებში რომ ვმონაწილეობ, წინ დიდი ნაბიჯი გადავდგი, — განაცხადა დევენპორტმა, — სასიამოვნოა, რომ შტეფის გადავასწარი“.

## ახალგაზრდობა უტევს



**ჰოლანდიურ ვეიკ-ან-ზეეში დაწყებულმა ტრადიციულმა საჭადრაკო სუპერტურნირმა პირველ ორ ტურშივე სენსაცია მოახდინა.** თუ არავის გაკვირვებია უკვე თითქმის „გამოზრდილი“ სომეხი მოჭადრაკის ლევონ არონიანის წარმატება, მაგრამ ბუნებრივია, ბევრი გააკვირვა 17 წლის ნორვეგიელი მანგუს კარლსენის წარმატებამ. როგორც ჟურნალისტები ამბობენ, ყველას აკვირვებს ნორჩი ვიკინგის შეუპოვარი თამაში. პირველ ტურში მან აზერბაიჯანელი მამედიაროვი დაამარცხა, რის გამოც ამ უკანასკნელმა ცუდი გუნება-განწყობილება მოიმიზეზა. მეორე ტურში კი ჭაბუკი ნორვეგიელის „მსხვერპლი“ უკრაინელი ელინოვი შეიქნა.

სხვათა შორის ტურნირის ფავორიტმა ვლადიმერ კრამნიკმა მეორე ყაიმი გააკეთა და ლიდერებს ერთი ქულით ჩამორჩება.

## შარაპოვა — მობილურების „დედოფალი“

**მობილური ტელეფონების მწარმოებელმა Sony Ericssoni ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ლამაზმან ჩოგბურთელ მარია შარაპოვასთან და მსოფლიო ბრენდის სახე გახადა.**

როგორც შარაპოვას პრესსამსახური იუწყება, მარია Sony Ericsson-ის გუნდთან ერთად შეიმუშავებს პროდუქციისა და აქსესუარების ფართო ასორტიმენტს, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე სარეკლამო კამპანიაში. ადრე შარაპოვას კონტრაქტი ჰქონდა კომპანიასთან Motorola, ასევე მობილურებს რომ უშვებს.



ჭიდაობა

# „თავისუფალთა“ და „კლასიკოსთა“ მარშრუტები

**2008 წელი მნიშვნელოვანია ქართველი სპორტსმენებისთვის, განსაკუთრებით ოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებისთვის, რადგან მათ 8 აგვისტოდან პეკინში მძიმე ორთაბრძოლები ელით.**

თუმცა, მანამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ათლეტებს საკუთარი ძალების შესამოწმებლად არაერთ პაექრობაში მოუწევთ ჩაბმა. ამ მხრივ გამონაკლისს არც მოჭიდავეები წარმოადგენენ. რომელ შეჯიბრებებში იასპარეზებენ ისინი (სამივე ასაკში), ამას 2008 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი გვაუწყებს.

**თავისუფალი ჭიდაობა**

**26-27 იანვარი.** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ბათუმი.

**9-10 თებერვალი.** საერთაშორისო ტურნირი. ანკარა.

**23-24 თებერვალი.** საერთაშორისო ტურნირი. კიევი.

**26-27 თებერვალი.** ახალგაზრდების საქართველოს პირველობა. თბილისი.

**7-9 მარტი.** საერთაშორისო ტურნირი. მინსკი.

**15-16 მარტი.** ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირი. რიგა.

**30-31 მარტი.** ჭაბუკთა საქართველოს პირველობა. თბილისი.

**1-6 აპრილი.** ევროპის ჩემპიონატი.

**19-20 აპრილი.** შვეიცარიის I სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირი. მარტინი.

**3-4 მაისი.** პოლონეთის II სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირი. ვარშავა.

**3-4 მაისი.** ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირი. ათენი.

**23-24 მაისი.** მახაჩყალის საერთაშორისო ტურნირი.

**2-4 ივნისი.** ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. ირანი.

**13-15 ივნისი.** საერთაშორისო ტურნირი. რუმინეთი.

**20-22 ივნისი.** საერთაშორისო ტურნირი. ბულგარეთი.

**24-29 ივნისი.** ჭაბუკთა ევროპის პირველობა. ლატვია.

**15-20 ივლისი.** ახალგაზრდების ევროპის პირველობა. სლოვაკეთი.

**29 ივლისი-3 აგვისტო.** ახალგაზრდების მსოფლიო პირველობა. სტამბოლი.

**19-21 აგვისტო.** ოლიმპიური თამაშები. პეკინი.

**5-7 სექტემბერი.** საერთაშორისო ტურნირი. ხასავიურტი.

**6-7 სექტემბერი.** ახალგაზრდებში დ. გობეჯიშვილის სახელობის ტურნირი. ონი.

**27-28 სექტემბერი.** ჭაბუკებში გ. სალარაძის სახელობის ტურნირი. ამბროლაური.

**11-12 ოქტომბერი.** ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.

**24-26 ოქტომბერი.** საერთაშორისო ტურნირი. ერევანი.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

**26-27 იანვარი.** პარიზისა და სტამბოლის საერთაშორისო ტურნირები.

**28-29 იანვარი.** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ბათუმი.

**23-24 თებერვალი.** ახალგაზრდებში საქართველოს პირველობა. თბილისი.

**28-29 თებერვალი.** მსოფლიო თასი. უნგრეთი.

**28-29 მარტი.** ჭაბუკთა საქართველოს პირველობა. თბილისი.

**1-6 აპრილი.** ევროპის ჩემპიონატი. ტამპერე.

**19-20 აპრილი.** ახალგაზრდებში მ. ვახტანგაძის სახელობის ტურნირი. ბათუმი.

**26-27 აპრილი.** ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. სოფია.

**9-11 მაისი.** რომის პირველი სალიცენზიო ტურნირი. იტალია.

**24-25 მაისი.** ნოვი სადის მეორე სალიცენზიო ტურნირი.

**24-25 მაისი.** ჭაბუკებში თ. ყაზარაშვილის სახელობის ტურნირი. რუსთავი.

**13-15 ივნისი.** საერთაშორისო ტურნირი. რუმინეთი.

**24-29 ივნისი.** ჭაბუკთა ევროპის პირველობა. ლატვია.

**5-7 ივლისი.** საერთაშორისო ტურნირი. მადრიდი.

**15-20 ივლისი.** ახალგაზრდების ევროპის პირველობა სლოვაკეთი.

**29 ივლისი-3 აგვისტო.** ახალგაზრდების მსოფლიო პირველობა. სტამბოლი.

**12-14 აგვისტო.** ოლიმპიური თამაშები. პეკინი.

**11-12 ოქტომბერი.** გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.

**18-19 ოქტომბერი.** ახალგაზრდებში ი. სიორიძის ხსოვნის ტურნირი. ოზურგეთი.

**24-26 ოქტომბერი.** ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირი. სტამბოლი.

თაობა



# კრწანისის ველის შვილები

**საფეხბურთო სკოლა „გელათი-2006“ მისი დირექტორისა და მწვრთნელის, წარსულში ცნობილი მსაჯის ტრისტან ნიშნიანიძის პირმშო გახლავთ. იგი ტყავის ბურთის მომავალ ოსტატებს სოფელ კრწანისის სტადიონზე აშალაშინებს, რომელიც მალე, ვიმედოვნებთ, კიდევ უფრო დამშვენდება და კეთილმოეწყობა.**

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ახალი წლის წინა დღეებში გიორგი ნემსაძის სახელობის საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ სარბიელმა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა მოთამაშის ზაზა ბენდელიანის ტრადიციულ მემორიალს უმასპინძლა. სწორედ მისი ორგანიზატორის ქართლოს ჭუმბურიძის ძალისხმევით შედგა აღნიშნულ ხსოვნის ტურნირზე კრწანისელთა საბრძოლო ნათლობა.

ოლიმპიური დევიზისა არ იყოს, ეს გამოსვლა უმთავრეს მიზნად არა გამარჯვებას, არამედ მონაწილეობას ისახავდა. მართალია, ბიჭები ამჯერად საპატიო კვარცხლბეკზე ვერ ავიდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი საფეხბურთო სამყარომ გაიცნო და შემთხვევითი არაა, რომ ბატონმა ქართლოსმა ისინი სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

დარწმუნებული ვართ, სადებიუტო ასპარეზობა მოზარდებს სტიმულს მისცემს და საფეხბურთო სკოლა „გელათი-2006“-ის მასშტაბები თანდათან გაფართოვდება. ამ საშვილიშვილო საქმეში ბატონ ტრისტანს მისი შეგირდების აქტიურობით გამორჩეული მშობელი ქალბატონების მიმოზა გვიშიანისა და მთვარისა ფილფანის თანადგომის იმედი აქვს, რომლებიც დღენიადაგ მხარში უდგანან. რომ იტყვიან, მათი მაგალითი სხვათათვის მისაბაძია.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

სენსაცია

# ინვალიდმა მორბენალმა დააშინა

**მძლეოსანთა ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციამ (IAAFძ ჯანმრთელ სპორტსმენებთან ერთად ასპარეზობა აუკრძალა უნიკალურ აფრიკელ ინვალიდ მორბენალს ოსკარ პისტორიუსს.**

ის 1986 წლის 22 ნოემბერს დაიბადა. თანდაყოლილი დეფექტების გამო ჯერ კიდევ 11 თვისას მას ორივე ფეხი მოჰკვეთეს. ბიჭის მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა მათ შვილს ცხოვრებაზე იმედი არ გადაეწურა. მას სპეციალური პროთეზები გაუკეთეს, რათა სიარული ესწავლა. 2005 წელს ამერიკაში სპეციალურად მისთვის კარბონისგან გაკეთებული ახალი პროთეზების წყალობით, რაც 3 ათასი დოლარი დაჯდა, მან „ახალი სიცოცხლე“ შეიძინა და სხვა მოტივაცია გაუჩნდა. მან დაიწყო რეკორდების დამყარება 200 და 400 მეტრზე სირბილში. ის პლანეტაზე ერთადერთი ინვალიდი მძლეოსანია, ვინც 100 მეტრი 10,91 წამში გადალახა.

შარშან კი ის რომში, „ოქროს ლიგის“ ტურნირზე „ჩვეულებრივ“ მორბენლებთან ერთად გამოვიდა და მეორე დრო — 46.90 — აჩვენა. 0,18 წამით მასზე უფრო სწრაფი იტალიელი სტეფანო ბრაჩოლა აღმოჩნდა.

ბუნებრივია, ყოველივე ამან შეაშფოთა „ჯანმრთელი“ სპორტსმენებიც და მათი პატრონებიც,ამიტომ საგანგებო გამოძიება დანიშნეს:

დაადგინეს, რომ ორივე ფეხმოკვეთილი ფიბროკარბონური პროთეზების მეშვეობით დიდ უპირატესობას იხვეჭს მეტოქეებთან შედარებით. როგორც გერმანელი პროფესორი გერტ-პეტერ ბრიუგტემანი ამტკიცებს, ის მთელი სისწრაფის ასაღებად 25-30 პროცენტზე ნაკლებ ძალებს ხარჯავს, ვიდრე ჩვეულებრივი სპრინტერები.



ამიტომაც იააფის ვერდიქტი უკრძალავს ჩვეულებრივ სპორტსმენებთან ასპარეზობას. თუმცა ვერ უკრძალავენ პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას, რომლის მრავალგზის ჩემპიონიცაა. ასევე ნება დართეს სამხრეთ აფრიკის სხვა შეჯიბრებებში გამოსვლებზე.

როგორც იტყობინებიან, მზადდება მასალები უმაღლეს სპორტულ არბიტრაჟში საჩივლელად.

# მოზაიკა

● ექსპერიმენტში 300 მოხალისე მონაწილეობდა. ერთი მესამედი მობილურებით ძალიან ხშირად სარგებლობდა, მეორე ასი – ზომიერად, დანარჩენ ასს საერთოდ არ გამოუყენებია. სამდღიანი ცდების შემდეგ სწავლულებმა შეაფასეს განსხვავებები სამასივეს ტვინის მოღვაწეობაში. გამოირკვა, რომ ყველაზე აქტიურ მომხმარებელთა ტვინის მუშაობა ნელდება და რეაქციის სიჩქარე მცირდება



## ◎ გამოხმაურება

**„სრ“-ის 12 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა აკადემიკოს ნიკოლოზ ვახანიას საგულისყურო წერილი, მიძღვნილი ზოგიერთი „საგნისათვის“ სახელდებისადმი. რასაკვირველია, „ნ. მუსხელიშვილის ინსტიტუტი“ გაუმართლებელი სახელწოდებაა და „ნ. მუსხელიშვილის სახელობის ინსტიტუტს“ არ უნდა ჩაენაცვლოს.**

ბატონი ნიკოლოზი ათეული წლობით უძღვებოდა საუზროებს, ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელი ყველამ ხომ არ იცის? სიტყვა „ფიზიკა“ კი მეტმა იცის და როცა სრულად უხსენებენ „ე.ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტიო“, გასაგები ხდება, თუ რომელ დაწესებულებაზე ყოფილა ლაპარაკი.

კი, ევროპაში ეგებ პუანკარეს ინსტიტუტიც არსებობდეს და აინშტაინისაც, მაგრამ ევროპელებმა თავიანთი საქმისა თვითონ იციან და მეორეც, განა ყველაფერს სწორად აკეთებენ, რომ იმათი სტანდარტები ბრმად გადმოვიღოთ?

## ცოტა ღრმად ხომ არ ჩავეძიოთ?..

მართებულია ნიკოლოზ ვახანიას ის შენიშვნაც, რომ სახელისუფლებო სტრუქტურები სახელწოდებითი სიახლეების მიმართ მეტ სიფრთხილეს უნდა იჩენდნენ, ფართოდ განუხილავად არ უნდა შემოჰქონდეთ თითქმის დაკანონებული ფორმით.

ერთ დროს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ აღნიშნულ კვლევით დაწესებულებას და მისი გულისტკივილი ალბათ ამითაც არის გამოწვეული.

ვფიქრობ, აქ კალმის უფრო „ღრმად“ მოქნევაც შეიძლებოდა: არა მარტო „სახელობის“ უნდა აღდგეს, არამედ ინსტიტუტის პროფილიც, რაობა, ანუ „რა რა არის“. ასე რომ, ყველაზე „ინფორმაციული“ იქნებოდა ძველი სახელწოდება „ნ.მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი“. მარტო „ნ.მუსხელიშვილის სახელობის ინსტიტუტს“თუ ახსენებენ და მე ვიცი, რომ ნიკო მუსხელიშვილი მათემატიკოსი იყო, მხოლოდ სახელობით როგორ მივხვდე, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტზეა ლაპარაკი თუ მათემატიკის ინსტიტუტზე (ამ დროს მათემატიკის ინსტიტუტი ა.რაზმაძის სახელობისააძ? ან, მეორე მაგალითად, ე.ანდრონიკაშვილის სახელობის ინსტიტუტზე თუ



აქ, მაგალითების სახით, შესაფერისი იქნება გახსენება „ერთიანი ეროვნული გამოცდების“ ან „რესურსცენტრების“ უმართებულო ფორმების დაკანონებისა, რაზეც ჩვენს გაზეთს არაერთგზის გაუმახვილებია ყურადღება.

ინგლისურ ენას მეც პატივს ვცემ, მაგრამ მისი გავლენის გაძლიერება ჩემი მშობლიური ენის შელახვა-შერყვნის ხარჯზე რატომ უნდა ხდებოდეს! პატივს ვცემდი და ვცემ დიდ ენასაც, მაგრამ ერთ დროს მისი გავლენა ისე თვითდინებაზე მივუშვით, რომ ქართული ენა „რუსიზმებით“ (სტოლი, სპიჩკა, ნასკები, ფეჩი, პადვალი, პადიეზდი და მრავალი სხვაძ გაგვევსო და აღარ ვიცით, ამ დიდ ენობრივ სატკივარს რა მოვუხერხოთ. ასე არ მოგვივიდეს ინგლისურის შემთხვევაშიც...

**თამაზ ებანოიძე**

## ◎ ცრურწმენა?

# ნაკიანი წელი არც ისე საშიშია

**დამდგარი 2008 ნაკიანი წელია (გავიხსენოთ: ასეთად ითვლება 4-ზე უნაშთოდ „გაყოფადი“ წელი და ამიტომაც ის ოთხ წელიწადში ერთხელ დგება; მისი დამახასიათებელი, თუ გნებავთ, გამოსარჩევი ნიშნები კიდევ შემდეგია: თებერვლის თვე 29-თაა, ოლიმპიადის წელია და ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისაძ. ნაკიანს კი არცთუ კარგი რეპუტაცია აქვს, ამბობენ, რომ არაერთი უსიამოვნება მოაქვს.**

მეორე მხრივ, არც მეცნიერება და არც ეკლესია განსაკუთრებულ უბედურებებს მას არ მიაწერს. ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ომები, რევოლუციები და დიდი კატასტროფები დროის სკალაზე თანაბრადაა განაწილებული. კი, სწორედ ნაკიან წლებში დაეცა დედამიწაზე ტუნგუსის მეტეორიტი, ჩაიძირა „ტიტანიკი“, მოხდა რამდენიმე დამანგრეველი მიწისძვრა; ოღონდ ჩვეულებრივ წლებშიც უფრო საშინელი კატაკლიზმები დატყდომია თავს კაცობრიობას.

სხვათა შორის, ნაკიანი წლის ცუდ სახელს წმინდა კასიანეს დღესთანაც აკავშირებენ, რომელიც 29 თებერვალზე მოდის. ეს წმინდანი არ უყვარდათ ცუდი ზნის გამო (რაღა წმინდანი ყოფილა!...ძ, ხალხში უფრო ხშირად მრუდე კასიანეს,შურიან კასიანეს ეძახდნენ. ეგ კია,რომ ნაკიანი წლის შიშის ტრადიცია ბევრად უფრო ძველია და იმითაა გამოწვეული, რომ ასტრონომიაში უცოდინარ ადამიანებს ვერ გაეგოთ, თუ საიდან გამოტყვრა 29 თებერვლის დღე. ყოველი გაუნათლებლობა ხომ შიშსა და ცრურწმენას ბადებს (იგივე ითქმის, მაგალითად, მზის დაბნელებებზეძ. აქედანაა ათასგვარი ნიშანი, თითქოს ასეთ წელიწადში არ შეიძლება დაქორწინება, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და სხვა.

## ◎ ჯანმრთელობა

# ვერ გავიგე, მობილური მტრულია თუ ძმობილური?

**მობილურის სარგებლიანობასა და ეფექტიანობაზე ლაპარაკი ზედმეტიცაა – სხვანაირად ის ასე ძალუმად ვერ „გააჯერებდა“ ჩვენს ყოფას. „მრავალსულიანი ოჯახის“ გვერდით ხომ ახალი ცნებაც გაჩნდა – „მრავალმობილურიანი ოჯახი“!...**

როგორც ყოველგვარმა ტექნიკურმა პროგრესმა, მობილურმაც თან იახლა ჩრდილები თუ მინუსები. არ წყდება კამათი იმის თაობაზე, არის თუ არა მავნე ფიჭური ტელეფონი. აგერ ახლახან მორიგი „ბუა“ გამოჩნდა: ამერიკელი სპეციალისტების მტკიცებით, მობილურით აქტიურად მოსარგებლეს შეიძლება „ფანტომური ვიბრაციები“ აწუხებდეს. ეს ნიშნავს, რომ კაცი ფიზიკურად შეიგრძნობს საყვარელ ინსტრუმენტს მაშინაც კი, როცა შინ დატოვა (შეადარეთ ამპუტირებული ფეხის ფანტომურ ტკივილებსძ.

მინუსებიო, ვთქვით. ერთ-ერთი ეგებ ისაა, რომ მობილური ასე სწრაფად „ახალგაზრდავდება“, მეტიც, „ნორჩდება“. არ გაგვიკვირდეს, თუ ახლო ხანში საბავშვო ეტლში ნებივრად ჩაწვენილ ჩვილს გადავაწყდეთ, რომელსაც პირში საწოვარა გაუჩრია, თათუნათი კი პაწია მობილური ჩაუბღუჯავს...

ვერ გეტყვით, როგორი სურათია სკოლებში გაკვეთილებზე, მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებზე მობილურთან „ბრძოლა“ ხდება საჭირო; რამდენიც არ უნდა „ეხვეწო“ სტუდენტებს, აუდიტორიაში შემოსულებმა მობილურები გამორთეთო, წამდაუწუმ გესმის: „ერთი წუთით გავალ...“, ზოგი გაუსვლელადაც გააბამს „ფიჭურ“ საუბარს.

ბავშვებს რაც შეეხება, სპეციალისტები კატეგორიულად უშლიან 18 წლამდე მოზარდებს მობილურით სარგებლობას. კიდევ რა რეკომენდაციებს გვაწვდიან? ფიჭური ტელეფონი სჯობს ჩანთით ატაროთ, ვიდრე ჯიბით ან ყელზე ჩამოკონწიალებულიო; გამოსხივების ყველაზე მაღალი დონე ქსელის მოძებნისა და შეერთების მომენტში მიიღწევაო; იქ, სადაც მობილური კავშირისათვის ძლიერი შეფერხებებია, ფიჭური ტელეფონებით რაც შეიძლება ნაკლებად ისარგებლეთ – დაბრკოლებათა გადალახვისას რაც მეტად იძაბება ტელეფონი, მით უფრო ძლიერია გამოსხივებაო.





რაკი გამოსხივება ვახსენეთ, ბარემ მოვინიშნოთ, რომ მობილური არის ზემაღალი სიხშირის (ზმსძ გამოსხივების წყარო და მისდამი გაცხოველებული ყურადღება აიხსნება იმით, რომ ფიჭური ტელეფონი ეგზომ მასობრივი გამოყენების საგნად იქცა. ჯანმრთელობაზე ასეთი გამოსხივების



ზემოქმედების კვლევები, საერთოდ, მიმდინარეობს რუსეთშიცა და დასავლეთშიც სულ მცირე 50 წელი მაინც. ფიჭური ტელეფონების გამოჩენასთან ერთად აქტიურად დაიწყეს სწორედ ამ ზმს-გამოსხივებათა შესწავლა. ეგ კია, რომ ჯერჯერობით ვერც რუსეთში და ვერც სხვაგან სადმე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ვერ შეძლეს დამტკიცება ვერც უარყოფითი გავლენისა, ვერც ასეთი გავლენის სრული არსებობისა.

რატომაა ასე ძნელი ერთიან დასკვნამდე მისვლა? საქმე ის არის, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ნებისმიერი ფაქტორის გავლენის გამოკვლევა ერთობ რთულ და ხანგრძლივ ღონისძიებას წარმოადგენს.

ავსტრალიელ მეცნიერთა ერთი ჯგუფი კი შემდეგ შედეგამდე მივიდა: მობილური ტელეფონის ძალიან აქტიური მოხმარება ეგების ცუდად აისახოს თავის ტვინის მუშაობაზე. ექსპერიმენტში 300 მოხალისე მონაწილეობდა. ერთი მესამედი მობილურებით ძალიან ხშირად სარგებლობდა, მეორე ასი – ზომიერად, დანარჩენ ასს საერთოდ არ გამოუყენებია. სამდღიანი ცდების შემდეგ სწავლულებმა შეაფასეს განსხვავებები სამასივეს ტვინის მოღვაწეობაში. გამოირკვა, რომ ყველაზე აქტიურ მომხმარებელთა ტვინის მუშაობა ნელდება და რეაქციის სიჩქარე მცირდება.

**უცხოური პრესის მიხედვით**

## ◎ ინფორმაცია

# უკანონო პატიმრები კვლავ გვყავს

**რამდენიმე შეწყალების აქტის მიუხედავად საქართველოში კვლავ რჩებიან უკანონო პატიმრები. ამის შესახებ სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა განაცხადა. სუბარის თქმით, ესენი ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც ნოემბრის აქციებში იღებდნენ მონაწილეობას.**

– დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ადამიანები პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი გახდნენ. ვიღაცას ნარკოტიკი ჩაუდეს, ვიღაცას იარაღი. მაგალითად, მოქალაქე თამაზ მეჭიაური დაიჭირეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შვილი პოლიტიკურად აქტიურობდა. ცხადია, ყველა მათგანი პოლიტიკური პატიმარია, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე სახალხო დამცველის აპარატი გიორგაძის მომხრეების საქმეს სწავლობს, რომელზეც შესაბამისი დასკვნა მუშაობის დასრულების შემდეგ მომზადდება.

რაც შეეხება ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლებას, ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ ბათიაშვილი ცალსახად უკანონო პატიმარი იყო, რადგან ის მტკიცებულებები, რომლებიც მის საქმეში არსებობდა აბსოლუტურად ფალსიფიცირებული გახლდათ.

– აქედან გამომდინარე მისი შეწყალება კი არა, სამართლებრივი რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო, – განაცხადა სახალხო დამცველმა.

**ინტერპრესნიუსი**


რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

● გაგრის ტრაგედიის დღეებში დასახვრეტად გაყვანილი აფხაზებს გადაურჩენიათ. მისგან დათესილი სიკეთის თესლი ისეთ ნიადაგში მოხვდა, ზოგიერთს შუბლის ძარღვის გაწყვეტა არ დაანება



№ 8. ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2008 წელი.

◎ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

# „მე აღზრდილებმა გადამარჩინეს“

**ეს სიტყვები როზა ჯოლოგუას ეკუთვნის, რომელიც, ამჟამად მშობლიური კერიდან დევნილი, რუსთავში ცხოვრობს, თუმცა დღემუდამ გაგრა უდგას თვალწინ. გაგრის ტრაგედიის თვითმხილველს, აფხაზეთის განათლების დამსახურებულ მუშაკს კარგად იცნობენ კოლეგები სკოლისგარეშე დაწესებულებათა კოლექტივში, რომელსაც მოზარდებთან მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე სიკეთის მეტი არა დაუთესია რა. გაგრის ტრაგედიის დღეებში დასახვრეტად გაყვანილი აფხაზებს გადაურჩენიათ. მისგან დათესილი სიკეთის თესლი ისეთ ნიადაგში მოხვდა, ზოგიერთს შუბლის ძარღვის გაწყვეტა არ დაანება.**



მის ხელში გაგრის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი საკურორტო ქალაქის ახალგაზრდების საკრებულო იყო.

– არ მიმტყუნეს ჩემმა „მუშკეტერებმა“; აფხაზი თუ ქართველი, სომეხი თუ რუსი, მჯერა, ბოლომდე რაინდებად დარჩნენ, დარწმუნებული ვარ, მათ ერთმანეთი დღესაც უყვართ, აკი მათ შემინარჩუნეს სიცოცხლე. როგორც ვიცი, ნინოშვილის ქუჩაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ამ ახალგაზრდებს დაუცავთ, არ უღალატეს ჩვენებურ ფიცს, რომელსაც გაგრელი ახალგაზრდები მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დებდნენ, იგი მეგობრობის, ურთიერთგატანის რაინდულ კანონს ეხებოდა.

ასე ამბობს როზა ჯოლოგუა და თმადათოვლილს თვალები ცრემლით ევსება, არ მეგონა, თუ ამდენი აღზრდილი დამელუკებოდაო. ყველა გაგრელი მოზარდი, განურჩევლად ეროვნებისა, შვილებად მიაჩნდა. წლების მანძილზე მას სხვა სამუშაოზე არ უფიქრია და არც საკუთარი ოჯახის შექმნაზე უზრუნია, გაგრელი ახალგაზრდების აღზრდის სამსახურში იყო... ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ვინ იცის რამდენი აფხაზი მოზარდი ჩამოაცილა საკურორტო ქალაქისთვის დამახასიათებელ მრუდე გზას. მისი პასპორტი განსხვავდებოდა სხვა გაგრელი მოქალაქის პასპორტისგან – თხუთმეტამდე ახალგაზრდა ჰყავდა ჩაწერილი შვილობილად. მათ შორის აფხაზებიც იყვნენ...

მას სჯერა, რომ გაგრაში დარჩენილ აფხაზებს ახსოვთ მისი ამაგი. ეს ქალი, მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც აღზრდილების ლოცვა-კურთხევაშია.

დღეები კი მოლოდინში მიდიან, შინ, აფხაზების მიერ გადარჩენილ თავის სახლში, დაბრუნებაზე ოცნებობს...

**ნათელა ფაილოძე**

ხელოვნება

# როზერტ ძერია

სამწუხაროდ, ბოლო ხანს, ყოველდღე ველოდით ამ საშინელ ცნობას... სად აღარ უმკურნალა ცოლ-შვილმა რობერტს, რა ოპერაციები არ გადაიტანა ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა და კოლეგამ... ველარ გაუძლო სხეულმა ამდენ დავიდარაბას... და წავიდა სული მისი ზეციურ საქართველოში, შეუერთდა წინაპართა, ახლობელთა, მეგობართა სულებს...



ჩვენი რობერტი... გულგაშლილი, პირღიმილიანი, ენაწყლიანი მოსაუბრე, ნიჭიერი კალმოსანი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, თავისი სტილიც კი შემოიტანა ქართულ საგაზეთო ჟურნალისტიკაში.

როგორ ეფერებოდა იგი აქედან, თბილისიდან, თავის ოდაბადეს, თავის ადგილის დედას, ხშირად ველარ ჩავდივარ ხაბუმეშიო, წუხდა... სწორედ ხაბუმით, ჩხოროწყუს რაიონის ამ სოფლით (სადაც 1940 წლის 11 აპრილს დაიბადა) გრძნობდა იგი მთელ საქართველოს, რომელსაც, მოგვიანებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ მუშაობისას, მრავალ საჭირბოროტო პრობლემაზე, მშრომელ ადამიანებზე ესაუბრებოდა ნიჭიერებით, ნატიფი სტილით დაწერილი სტატიებით, ნარკვევებით, რეპორტაჟებით თუ ინტერვიუებით... ამ გაზეთში იყო იგი ლიტმუშაკი, პასუხისმგებელი მდივანი, რედაქტორის მოადგილე... და, თუმცა, მცირე ხანს „ზემოთ“ – საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში გადაჰყავთ სამუშაოდ, იგი იქაც თავმდაბალ, პირღიმილიან ხაბუმელ ბიჭად რჩება... ასეთი დარჩა იგი საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ახალგაზრდულ გადაცემათა მთავარ რედაქტორად, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარ რედაქტორად მუშაობისას...

ბოლო ხანს განსაკუთრებით „მოიქნია“, სრულიად ახალი წახნაგები შეიძინა მისმა სათქმელმა ჩვენს გაზეთში. როგორ ხარობდა ამ პუბლიკაციებით, რა თვალებგაბრწყინებული უსმენდა ჩვენსშექებას, თითქოს ახალბედა ჟურნალისტი იყო...

წავიდა ჩვენი რობერტი... და დარჩა შესანიშნავი პიროვნებისა და ჟურნალისტის, სამაგალითო ოჯახის უფროსის, მეგობრობაში გაუბზარავი კაცის სახელი...

ღმერთო, ნათელში ამყოფე ეს სახელი!...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.

ვაჟა დანელია, ნათელა მაღლაკელიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭოლა თევზაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ოთარ, ბიჭი, მანანა, ოთო აბდუშელიშვილები, ოთარ, ეკა თარგამაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება

ბიჭიკო ბერიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ შემოქმედი

# ფუნჯით მგალობელი

**მეტად რთულია გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრო ქართულ მხატვრობაში, რომლის ისტორიას არაერთი კორიფე ამშვენებს. მათს ჩამოთვლას არ შევუდგები, მაგრამ ერთს ვიტყვი – თანამედროვე ქართველ ფერმწერთა კოჰორტის ღირსეული წარმომადგენელია გასული საუკუნის 60-იან წლებში დაფრთიანებული, საინტერესო ხედვისა და მსოფლმხედველობის მხატვარი ბუდუ სირბილაძე.**



ფართო და მრავალწახნაგოვანია ბუდუ სირბილაძის მხატვრული თვალსაწიერი – მას უსაზღვროდ უყვარს სამშობლო, მისი ისტორია, თვალწარმტაცი ბუნება, არქიტექტურული ძეგლების სიდიადე, ქვეყნისთვის თავდადებულ ადამიანთა ფსიქოლოგიურ პორტრეტებში ჩაღრმავება, რაც მისი შემოქმედებითი მიღწევების ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მხატვრის ბოლოდროინდელი ფერწერული ნამუშევარი – მეფე ფარნავაზის პორტრეტი: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგან, ამან განავრცო ენა ქართული და აღარა იძრახებოდა სხვა ენა ქართლისა შინა, თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.



ლეონტი მროველის ამ ციტატიდან თვალნათლივ იკვეთება ჩვენი დიდი წინაპრის განუსაზღვრელი წვლილი ქართული მწიგნობრობის, სახელმწიფოებრიობის საძირკვლის ჩაყრაში.

ბუდუ სირბილაძემ მასშტაბურად გაიაზრა ფარნავაზის პორტრეტი. სხივმფენ და ენერგიულ გამომეტყველებაში შეიგრძნობა ძალა, სიამაყე, კეთილგანწყობა და მომავლისადმი რწმენა. რამდენიმე სახიერი კოლორიტული შტრიხით მხატვარი აღწევს ძველი მეფისა და რაინდის განზოგადებულ სახეს.

**ნოდარ რურუა,**
**საქართველოს მხატვართა კავშირ „ხელოვანის“ თავმჯდომარე.**

◎ ინფორმაცია

## სანდრა რულოვსის აზერბაიჯანული ვოიაჟი დასრულდა

**აზერბაიჯანში სანდრა ელისაბედ რულოვსის სამუშაო ვიზიტი დასრულდა, რომელიც ორ ქვეყანას შორის სამედიცინო და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავდა მიზნად.**

ვიზიტის ფარგლებში რულოვსი პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და პირველ ლედის მეჰრიბან ალიევას შეხვდა. ბაქოს მეან-გინეკოლოგიის ინსტიტუტში ჰოლანდიელი სპეციალისტების დახმარებით პერინატალური დიაგნოსტიკის დანერგვა იგეგმება, რომლის ანალოგი გასულის წლის 1 ივნისიდან ლუდუშაურის კლინიკაში უკვე არსებობს.

სანდრა რულოვსმა ორი ქვეყნის ახალგაზრდულ კამერულ ორკესტრებს შორის ურთიერთობის დამყარების, საზაფხულო ბანაკების მოწყობისა და ერთობლივი კონცერტების გამართვის ინიციატივა გამოთქვა.

**ინტერპრესნიუსი**

## ბაღაფშს სააკაშვილთან ურთიერთობა მაინც მოუწევს

**სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ სერგეი ბაღაფშს მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობა მაინც მოუწევს.**

ბაქრაძის თქმით, ბაღაფშის განცხადება, რომ სააკაშვილი არის არალეგიტიმური პრეზიდენტი და მასთან დიალოგზე უარს ამბობს, ამორალურია.

მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობა კონფლიქტის მოგვარებას დიალოგის გზით აპირებს და მათ მოუწევთ დიალოგში მონაწილეობის მიღება.

**ხი-ეიჩ-ენი**

**სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება 2008 წლის 4 თებერვალს 12 საათზე. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში მეორე კრება ჩატარდება 2008 წლის 6 თებერვალს 12 საათზე. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში მესამე კრება ჩატარდება 2008 წლის 9 თებერვალს 12 საათზე.**

დღის წესრიგი:

1. სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება – საწესდებო კაპიტალის ცვლილება;
2. სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ დირექტორის ანგარიში.
3. სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
4. სხვადასხვა.

**კრება ჩატარდება მისამართზე:** თბილისი, დიღმის მასივი, ახმეტელის ქ. №10 ა, სს „ქართული ფილმი“.

**სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**
**გელა კანდელაკი**



## ბურჯანაძე ინაუგურაციისთვის სტაბილურობას ითხოვს

**საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ნებისმიერი მცდელობა სიტუაციის გამწვავებისა თავიდან უნდა იყოს აცილებული, რათა ქვეყანამ მუშაობა ნორმალურ რეჟიმში გააგრძელოს.**

ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს ბოლო უშიშროების საბჭოს სხდომაა, რომელსაც იგი თავად უძღვება, შემდეგში მას უკვე ახალი პრეზიდენტი ჩაატარებს.

ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანაში სტაბილურობა სწორედ უშიშროების საბჭოს მუშაობის დამსახურება და შედეგია.

მისი თქმით, არჩევნები მშვიდ და ნორმალურ ვითარებაში ჩატარდა და ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე საქართველოს ხელისუფლება ბევრ სტუმარს ელოდება.

რაც შეეხება ოპოზიციასთან თანამშრომლობას, ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ოპოზიციასთან კონსტრუქციული თანამშრომლობა ბევრ საკითხზე ახლაც მიმდინარეობს და შეთანხმებაც იყო. ნინო ბურჯანაძემ მათ შორის „საზოგადოებრივი მაუწყებელიც“ დაასახელა.

## ლეიბორისტები შემაჯამებელი ოქმის ხელმეორედ დაწერას ითხოვენ

**საქართველოს ლეიბორისტული პარტია საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობას ითხოვს.**

აღნიშნული მოთხოვნით „ლეიბორისტებმა“ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გუშინ შეიტანეს.

როგორც პარტიის წარმომადგენელმა გიორგი გუგავამ განაცხადა, ისინი ცესკოს მიერ ხმების ხელახლა გადათვლას და შემაჯამებელი ოქმის ხელმეორედ დაწერას ითხოვენ.

– ვასაჩივრებთ ცესკოს მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც თარხნიშვილმა გაყალბების გზით სააკაშვილი გამარჯვებულად გამოაცხადა, – განაცხადა გუგავამ.

## ოქრუაშვილის აგარაკს ვერ იყოფენ

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, ხელისუფლების წარმომადგენლები შიდა ქართლში ირაკლი ოქრუაშვილის რეზიდენციას ვერ იყოფენ. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო და შიდა ქართლის ადგილობრივი ხელისუფლება ერთმანეთს ე.წ. „მონადირის სახლის“ (ოფიციალურად, „წეროსხევი“ძ გამო დაუპირისპირდა.**

– გორის მუნიციპალიტეტი შპს „წეროსხევის“ თავის ბალანსზე გადაცემას ითხოვს, ეკონომიკის სამინისტრო კი მის გაყიდვას დამოუკიდებლად ცდილობს. 27 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მისწერა წერილი (№401ძ, რომლითაც ითხოვა, „წეროსხევი“ „თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტისთვის გადაეცათ, – ნათქვამია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

27 დეკემბერს სამინისტროს მიერ გაგზავნილი პასუხით გაირკვა, რომ გორის მუნიციპალიტეტისთვის „წეროსხევის“ გადაცემაზე სამინისტრო უარს ამბობს.

– გთხოვთ, წარმოადგინოთ შპს „წეროსხევის“ სრული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ მისი შემდგომი პრივატიზების მიზნით, – ნათქვამია პასუხში.

შპს „წეროსხევის“ ქონება 350 ათას ლარად არის შეფასებული. დღემდე გაურკვეველია, რა თანხით ააშენა და გაარემონტა ეს აგარაკი თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**სულიერება**

## წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი

**16 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა ექვთიმე თაყაიშვილს.**

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილიძ დაიბადა 1863 წლის 6 ივნისს გურიის სოფელ ლიხაურში. მამამისი, აზნაური სიმონ თაყაიშვილი, კორდონის ოფიცერი იყო, დედა გიტული ნაკაშიძე კი მაზრის მოწინავე ქალთა შორის იხსენიება. წმინდანს მშობლები ადრე გარდაეცვალა.



ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, შემდეგ თბილისში დაბრუნდა...

ღვთისა და ერის სიყვარული წარმართავდა მის ყოველ მოქმედებას, ექვთიმე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ, მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას...

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. მას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის მებრძოლთა რიგებშიც ვხედავთ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო საფრანგეთში ევაკუირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ თან გაიტანა საბანკო ვალუტა, ისტორიისა და კულტურის სამუზეუმო განძეულობა და ხელნაწერები, მათ მცველად გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი მეულლითურთ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა განძის საქართველოში დასაბრუნებლად. მალე განძი საქართველოში გადმოიგზავნა. როცა თბილისის აეროდრომზე თვითმფრინავი დაეშვა და ქართულ მიწაზე ფეხი დადგა, ექვთიმე თაყაიშვილმა ხელით აიღო მიწა და ეამბორა მას. სამშობლოში პატივით მიიღეს ერისთვის ესოდენ დამაშვრალი მოღვაწე.

1953 წლის ზამთარში ექვთიმე თაყაიშვილმა სული უფალს შეჰვედრა.

2002 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით, მოხდა ექვთიმე თაყაიშვილის კანონიზაცია და ეწოდა მას – წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი.

**გიული ლიპარტია**

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

**ანეკდოტები**

– ექიმო, პრობლემები მაქვს.
– ეწევით?
– არა.
– სვამთ?
– არა.
– ცოლს ღალატობთ?
– არა.
– აბა რა?
– ყოველ ნაბიჯზე ვტყუი.



* * *

– როდის გაქვს ქორწილი?
– 21 დეკემბერს.
– სწორედ მაშინ, როდესაც ღამე ყველაზე პატარაა?
– ჰო.
– აი, შე მშიშარა შენა!

* * *

ვიაგრა იმისთვისაა საჭირო, ვისაც მხოლოდ ხასიათი აქვს უდრეკი.

* * *

– აი, წაიკითხე სტატია თევზებზე, – ეუბნება ქმარი ცოლს, – შენ თავისუფლად შეგიძლია ისწავლო მათგან პირში წყალჩაგუბებულივით გაჩუმება.
– იქნებ ჯერ შენ გესწავლა მხოლოდ წყლის სმა.

* * *

დიალოგი თვითმფრინავში:
– ქალიშვილო, იქნებ ისე ამიხსნა ყველაფერი, როგორც უბრალო მოკვდავს.

**კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.